# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 3 ივლისი, 2009 წელი.

№ 134 (6235)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## ხალხმა და მხოლოდ ხალხმა უნდა დასვას ბოლო წერტილი...



5

მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

## ხრისცები

რამდენი გირვანქა ტვინი ექნება ჩვენი „რეფორმატორების“ მიერ გამოყვანილ „ახალ ქართველს“?

3



იმასაც ამაყად აცხადებს ეს ვაჟბატონი, რომ „მეფე გიორგი (მიშა!) დიახაც ისმენს თათბირთა ჩემთაო“ და ესენიც აპირებენ ქართველთა (პედერასტების, სექტანტების, ათეისტების, კოსმოპოლიტების) შერჩევა-სელექციის გზით ისეთი ჯიშის გამოყვანას, რომელსაც გირვანქანახევარი კი არა, მისხალი ტვინი არ ექნება და ამიტომ ყველაფერი ქართული, ზნეობრივი უცხო იქნება მისთვის.

## ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ყველანაირ შანსს იყენებენ, რათა ერთმანეთი რუსეთთან თანამშრომლობაში დაადანაშაულონ

5

## შიში აგვისტოს ახალი ომის წინ კავკასიაში

8





## სააკაშვილზე ხელი უკვე ჩაიქნიეს, მაგრამ მისი ალტერნატივა ჯერ არ შეურჩევიათ...

3

## ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

აბიტურიენტებმა პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩააბარეს.

აბიტურიენტთა რეგისტრაცია საგამოცდო ცენტრებში 08:00 საათზე დაიწყო. ხალხმრავლობა იყო ყველა საგამოცდო ცენტრთან, მათ შორის აგრარულ უნივერსიტეტთანაც, სადაც გასამხნევებლად აბიტურიენტთა მშობლები და ახლობლები იმყოფებოდნენ.

პროცესის მიმდინარეობას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია პირადად აკვირდებოდა. როგორც მან ეროვნული გამოცდების ოფიციალურად დაწყების შემდეგ განაცხადა, არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

— არც დაგვიანება დაფიქსირებულა. ყველაფერი წესრიგშია. გვყავს პატიმარი აბიტურიენტებიც, რომლებიც ბადრაგმა მოიყვანა. ასევე გამოცდას აბარებს ორი უსინათლო აბიტურიენტიც, რომელთა უფლება გამოცდის ჩაბარებისას ჩვენს მიერ სრულფასოვნად იქნება უზრუნველყოფილი, — განაცხადა გვარამიამ.

საგამოცდო პროცესში ათასზე მეტი მეთვალყურე და კურატორი, ასევე საპატრულო პოლიციის 30-მდე ბრიგადაა ჩართული.

ყველა საგამოცდო ცენტრთან სასწრაფო დახმარების მანქანა მორიგეობს.

*ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო*



## საქართველოში განათლების მიღება მალე შეუძლებელი გახდება?

2

## ერთიანნი და განუყოფელნი

**ზურაბ ჭავჭავაძე:**

*აიღეთ ესპანეთი. რა ხდებოდა იქ? კაცი კაცს არ ცნობდა, სამოქალაქო ომი, ხალხი გაყოფილია, ფრანკოს დიქტატურა... მაგრამ ახლა ერი შერიგდა. არც ჩვენ გვაწყენდა... მეტად მნიშვნელოვანია, რომ დონის მონასტრის სასაფლაოზე ერთად განისვენებენ თეთრი გენერლები და წითელი მეთაურები. ვფიქრობ, იქ უნდა დავდგათ რუსული სამლოცველო, რომ ხალხმა მოიხსენიოს ერთნიც და მეორენიც. უნდა მივბაძოთ მაგალითს, რომელიც შემოგვთავაზა ეკლესიამ, როდესაც, როგორც იქნა, გააერთიანა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ორი შტო. ბოლოს და ბოლოს, უნდა მოხდეს ხალხის სულიერი შერიგება.*

9

### ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

**ვახტანგ რჩეულიშვილი:**

მიზანმიღწეული სოციალისტი, ამჟამად მხარ-თეძოზე წამოწოლილი ცენტრპოინტელი

— ხელისუფლებამ რამდენიც არ უნდა ამტკიცოს, ჩემი ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ ვიბრძვიო, ყველამ ვიცით, რომ ტყუილია. ასევე ტყუილია ოპოზიციის მტკიცება, ძალაუფლების მოსაპოვებლად არ ვიბრძვიო... საერთოდ, პოლიტიკა ტყუილების ხელოვნებაა, ვინც კარგად იტყუება (და ლამაზად! — დავით აქუბარდიას რეპლიკა), საბოლოოდ ის იმარჯვებს. მე სანამ შევარდნაძეს ვაკრიტიკებდი და ვიძახდი, შევარდნაძე — ისტორიის სანაგვეზე-მეთქი, ჩემი რეიტინგი სულ მაღალი იყო, ვიდრე მაშინ, როცა მშვიდად ვლაპარაკობდი. ასე რომ ხელისუფლებასთან ოპოზიციის ჩხუბი და დავიდარაბა ეს თვითონ ჩვენი საზოგადოების დაკვეთაა... ეს სულ ასე იქნება

(1 ივლისს აძუს „კავკასიაში“ თქმული „სიბრძნე“)

**ინფორმაცია**

## შეხვედრა რუსეთის საპატრიარქოსთან

**საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია რუსეთის პატრიარქმა კირილმა მიიღო. შეხვედრაზე რუსეთის პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ ქართული დელეგაციის ეს ვიზიტი ქვეყნებს შორის დაძაბულ ვითარებას განმუხტავს.**

მისი განცხადებით, ქვეყნებს შორის პოლიტიკური უთანხმოება და დროებით შეწყვეტილი დიალოგი ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის თანამშრომლობა-მეგობრობაზე გავლენას ვერ იქონიებს.

ქართულმა დელეგაციამ შეხვედრისას ბევრი მწვავე საკითხი წამოაყენა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი აფხაზეთისა და ცხინვალის ეპარქიებიდან გამოდევნილი ბერების დაბრუნების საკითხი იყო.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეპარქიებს ქართული ეკლესიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

მოსკოვის საპატრიარქოს ცნობით, სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი საქართველოს 2010 წელს ეწვევა.

## ბურჯანაძე პარლამენტს უჩივის



**თბილისის საქალაქო სასამართლომ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის ორი სარჩელის განხილვა დაიწყო.**

ერთი სარჩელით პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც ბურჯანაძეს ქონების გადასახადის გადაუხდელობის გამო სოლიდური ჯარიმის გადახდა დაეკისრა, მეორეში კი ის, პარლამენტს უჩივის და პრეზიდენტის 2009 წლის 5 იანვრის განკარგულების გაუქმებას ითხოვს, რომლის საფუძველზეც მას სახელმწიფო დაცვა შეუმცირდა.

პირველ სარჩელთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ პროცესზე მოპასუხე მხარემ საქმეში არსებული ახალი დოკუმენტაცია წარმოადგინა, რისი დეტალურად გაცნობისთვისაც ბურჯანაძის ადვოკატმა გოჩა სვანიძემ დამატებითი დრო ითხოვა. საკითხის განხილვა სავარაუდოდ, 8 ივლისს გაგრძელდება.

აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება ერთ ლარად შეძენილ წყნეთის აგარაკს, რომელთან დაკავშირებითაც შესაბამისი დეკლარაციის დროულად არწარმოდგენისა და ქონების გადასახადის გადაუხდელობის გამო, ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს მილიონნახევარი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

## ამგვარ კანონებს მხოლოდ ჰიტლერი იღებდა



**დამოუკიდებელი დეპუტატის გია ცაგარეიშვილის შეფასებით, მანიფესტაციების გამართვის წესების გამკაცრებას ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლის გაძლიერებისთვის მიმართავს.**

როგორც ცაგარეიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, შესაბამისი კანონის მიღებით „სამართლებრივი დარღვევების დაკანონება მოხდება“.

– მსგავსი კანონების მიღება მხოლოდ ფაშისტური რეჟიმის დროს, ჰიტლერის მიერ ხდებოდა, – აცხადებს ცაგარეიშვილი.

მისივე განმარტებით, თუ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, ასევე „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ კანონებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოხდება, არასამთავრობო ორგანიზაციები, კონსტიტუციის დარღვევის ბრალდებით, პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანენ.

## ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების როლი გაიზარდა

**საქართველოში გაეროს და ეუთოს მისიების დახურვის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, რომელშიც ჟენევის 1 ივლისის შეხვედრის შესახებ არის საუბარი.**

ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, საერთაშორისო მისიების გასვლის შემდეგ რეგიონში უსაფრთხოების პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება, საქართველოს და დასავლეთის რიგ ქვეყნებს კი არ სურთ, რეგიონში შექმნილი ახალი პოლიტიკურ-დიპლომატიური რეალობა სცნონ.

კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მეექვსე რაუნდი 1 ივლისს გაიმართა.

## თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვენ

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ თბილისის მიერ მოლაპარაკებებზე წარმოდგენილი პროექტი კავკასიის რეგიონში ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეშფოთებას იწვევს. ჩანს, რომ საქართველო მათ თავის შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევს.**

– საქართველოს პოზიცია ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ შეუძლებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეშფოთებას არ იწვევდეს, ამიტომაც არ არის საჭირო მოლაპარაკებათა პროცესის ისეთ სიბრტყეში გადაყვანა, რომელიც რეალურად არ არსებობს, – აცხადებს კარასინი.

მისივე თქმით, ქართული მხარე შეგნებულად აზვიადებს „საქართველო-რუსეთის კვანძს“ რეგიონალური პრობლემების გადაჭრის საკითხში.

კარასინი ასევე აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაცია მაინც დაჟინებით მოითხოვს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებას.

**ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესნიუსი**

**ლეიბორისტების პროტესტი**

# საქართველოში განათლების მიღება მალე შეუძლებელი გახდება?

**გუშინ სტარტი აიღო ერთიანი ეროვნული გამოცდების მე-5 სეზონმა, რასაც ლეიბორისტული პარტია გამოეხმაურა და პრესკონფერენცია გამართა. მთავარი თემა უნივერსიტეტებში გაზრდილი გადასახადები იყო. მოგეხსენებათ, განათლების სამინისტრომ 2009 წელს ახალი დადგენილება მიიღო, რომლის ძალითაც უნივერსიტეტებს სწავლის საფასურის მაქსიმალური ზღვარი – 2250 ლარი დაუწესდათ.** ეს ცვლილება არ შეეხო კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებშიც გადასახადი კატასტროფულ ზღვარს გადასცილდა. სამწუხაროდ, არც სახელმწიფოს დაწესებული სასწავლო გრანტები სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც კი ვერ ფარავს მთლიან გადასახადს. მან ფაქტად აბიტურიენტებისთვის გამოშვებული დამხმარე გაზეთი წარმოადგინა, რომელშიც მისი განცხადებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასური 3000 ლარია! ეს ინფორმაცია ჩვენ გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ არც ერთ ფაკულტეტზე ამ რაოდენობის თანხა გადასახდელი არ არის და სახელმწიფო მაქსიმალური გრანტის ოდენობას სრულად შეესაბამება.



ამის მიუხედავად, ძნელია ლეიბორისტებს იმაში არ დაეთანხმო, **რომ საქართველოში მალე მხოლოდ ისინი მოახერხებენ უმაღლესი განათლების მიღებას, ვისაც მილიონერი მამიკოები ჰყავთ, ხოლო უამრავ ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას უპერსპექტივო მომავალი ელის.**

სახელმწიფო უნივერსიტეტებმა თქვეს უარი გადასახადების გაძვირებაზე და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თანხა ყველგან 1500-დან 2250 ლარამდე გაზარდეს.

ლეიბორისტების აღშფოთება სწორედ ამ ფაქტებმა გამოიწვია. ისინი განსაკუთრებით სიმწვავით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს (გადასახადი 7000 ლარიძ და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს (გადასახადი 2250-დან 3000 ლარამდეძ აკრიტიკებენ და მათთვის ლიცენზიის ჩამორთმევას მოითხოვენ.

ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივანი კახა ძაგანია სახელმწიფო გრანტებსაც შეეხო და სცადა, დაერწმუნებინა პრესკონფერენციის დამსწრე ჟურნალისტები, რომ სა

ლეიბორისტები კი ამბობენ, ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვალთ, სწავლის გადასახადს საერთოდ გავაუქმებთო, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს ნამდვილად არ მოხდება და იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც სწორედ ამ უახლოეს მომავალში მოუწევთ თავის განათლებაზე ზრუნვა, მხოლოდ ორი გამოსავალი აქვთ: ან საერთოდ არ ჩააბარონ, ანდა ჩააბარონ და მშობლებს ჯიბიდან ბოლო თეთრებიც ამოართვან.

**ანა წიწილაშვილი**

**დარგი**

# დავით ნარმანია: სახელმწიფოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია არ გააჩნია

**საქართველო ყველაზე საშიში ტურისტული ქვეყნების სიაში მე-11 ადგილზე მოხვდა. შესაბამისი ინფორმაცია ფრანგულმა ტურისტულმა გამოცემამ გამოაქვეყნა. საშიშ ტურისტულ ქვეყნებს შორის საქართველოს მოხვედრის უმთავრესი მიზეზი რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობები გახდა. ამ კატეგორიის სახელმწიფოთა ათეული კი ასეთია: ავღანეთი, ერაყი, სომალი, ბოლივია, ჰონდურასი, კოლუმბია, ლიბია, მალაიზია, სამხრეთ კორეა და ფიჯი. გარდა რუსეთთან არასტაბილური ურთიერთობისა, კიდევ რა ფაქტორები ახდენს გავლენას იმაზე, რომ ქვეყანა არასასურველი იმიჯის მქონე ტურისტული სახელმწიფოების რიცხვში აღმოჩნდეს? ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს, ეკონომიკის დოქტორს დავით ნარმანიას ესაუბრა.**



**– ბატონო დავით, მეზობელ ქვეყანასთან არსებული კონფლიქტის გარდა, კიდევ რა ხელისშემშლელ ფაქტორებს ხედავთ ამ თვალსაზრისით?**

– ცხადია, საშიშ ტურისტულ ქვეყნებს შორის საქართველოს მოხვედრაზე მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის შიდა პოლიტიკურმა დაძაბულობამაც მოახდინა, საიდანაც გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს.

ამასთან, უცხოელი ვიზიტორების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე არანაკლებ მოქმედებს ქვეყანაში არსებული მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ტურისტული მომსახურებისათვის დაწესებული არაადეკვატურად მაღალი საფასური და ა.შ.

**– ბოლო წლებში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ტურიზმი აღმავლობას განიცდის. რეალურად, რამდენად შემოსავლიანია ეს სექტორი და რა როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში?**

– ბოლო წლებში ტურიზმი მართლაც შემოსავლიანი სფეროა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები იყო პირდაპირი შემოსავლები მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

სახელმწიფოს ტურიზმიდან პირდაპირი შემოსავალი არ მიუღია, რადგან ჩვენთან ტურიზმის გადასახადი 2005 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია. სახელმწიფო ბიუჯეტში ტურიზმიდან შემოსავალი არაპირდაპირი გზით, მაგალითად, სასტუმროების, კვებისა და ა.შ. ობიექტების მიერ ქონების და სხვა სახის გადასახადების მობილიზებით, შედიოდა. მართალია, ჩვენისთანა ქვეყანაში ტურიზმს სახელმწიფო შემოსავლებში უზარმაზარი წილი არ ექნება, მაგრამ მისი მნიშვნელობა არის საერთაშორისო არენაზე ქვეყნის წარმოჩენა და რაც შეიძლება მეტი პრომოუშენი.

**– ძირითადად, რომელი ქვეყნებისთვის რჩება საქართველო ტურისტულად მიმზიდველ ქვეყნად?**

– ბოლო წლებში ქვეყანაში ტურისტების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა. ესენი, ძირითადად, ჩვენი მეზობელი და პარტნიორი ქვეყნების, კერძოდ, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ყაზახეთისა და ბალტიისპირეთის წარმომადგენლები არიან.

**– ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე ხშირად აღნიშნავენ, რომ ტურიზმის განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. რეალურად, რამდენად ეფექტიანია მისი აღორძინებისაკენ მიმართული ღონისძიებები?**

– ერთადერთი, რასაც სახელმწიფო რეალურად აკეთებს, არის სხვადასხვა პიარღონისძიება, სარეკლამო აქცია საზღვარგარეთ, ტურიზმის დეპარტამენტი მართავს პრეზენტაციებს, ბეჭდავს საინფორმაციო და სარეკლამო ბუკლეტებს და ა.შ. თუმცა, სექტორის აღმავლობისაკენ მიმართული კომპლექსური მიდგომა არ არსებობს, სხვა მწყობრი ღონისძიებები არ ტარდება და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფოს ტურიზმის განვითარების სტრატეგიაც არ გააჩნია.



ექსპერტი

*ფილოსოფოს კახა კაციტაძის აზრით, ხელისუფლებისთვის უკუსვლის პერიოდია, 9 აპრილამდე რაც იყო, ახლა იმაზე სუსტია. უკან-უკან მიდის ყველაფერი და ხელისუფლება ვერ ახერხებს რაიმე დამატებითი რესურსის მოძიებას, რომელიც მოსახლეობაში მისი მხარდაჭერის ხარისხს აამაღლებდა — საზღვარგარეთიდან მხარდაჭერას გააძლიერებდა, ტერიტორიული პრობლემის მოგვარებაში გარდატეხას შეიტანდა.*

# სააკაშვილზე ხელი უკვე ჩაიქნიეს, მაგრამ მისი ალტერნატივა ჯერ არ შეურჩევიათ...

**— ექსპერტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, ამ ეტაპზე ხელისუფლებამ გადააგორა საპროტესტო ტალღა. თქვენ ეთანხმებით ამ აზრს?**

— რას ნიშნავს ეს გამოთქმა? შევარდნაძისა და აბაშიძის დროსაც ასე იყო — გადააგორებდნენ ერთ, მეორე ტალღას, მაგრამ სანამდე? ეს ხომ პოლიტიკის წარმოება არ არის? პოლიტიკოსის ნიჭი განა მხოლოდ ისაა, რომ წამოწვეს და ფიქრობდეს, ვაიმე, ეს კვირა იქნება როგორმე გადავაგოროო, ვაიმე, ის კვირაო... პოლიტიკა გადაგორება არ არის.

„ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი უბედურება ისიც იყო, რომ ადამიანების სააზროვნო სივრცეც შერყვნილია, ჰგონიათ, რომ ბევრი ხალხი უნდა შეიკრიბოს, სადღაც შევარდეს და თუ გააგდებ ხელისუფალთ, ეს ძალიან კარგია. მაშინ ერთი უვარგისი ხელისუფალი გავაგდეთ, რა მივიღეთ? ეს ხელისუფლებაც სულ ასე იძახოდა — გადავაგოროო.

ახლა ამბობენ, მიშა ერთჯერადად უნდა დაემხოსო. გამოდის, რომ თუ იმ მომენტში არ არის დამხობილი, მან საპროტესტო ტალღა თურმე გადააგორა. ეს მიდგომა არ არის.

**— ოპოზიციას სჯერა, რომ მათი აქციები წარმატებული იყო, რომ დედაქალაქი მათია, თუმცა პარლამენტი მუშაობს და გადაკეტილი ქუჩებიც გაიხსნა...**

— შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქი ხელისუფლების არ არის. გგონიათ, ოპოზიცია მტერივით შემოვარდებოდა, ქუჩებში ტანკებს დააყენებდა, პარლამენტთან — პატრულს და ბაქრაძეს იქ არ შეუშვებდა?

**— მაშინ ამიხსენით, რატომ არ არის დედაქალაქი ხელისუფლებისა?**

— იმიტომ, რომ სააკაშვილს ყველა გამოკითხვით თბილისში 10 პროცენტი მხარდამჭერიც კი არ ჰყავს. რომ ამბობს, 60 პროცენტი მხარს მიჭერსო, ეს უკვე კომედიაა. თვითონაც ვერ ხვდება, რა აბსურდს ამბობს, მისივე გაყალბებული არჩევნებით ხმათა 52 პროცენტი მიიღო საქართველოში. ე. ი. თბილისში კიდევ უფრო ნაკლები მიიღო, ომიც წააგო, ეკონომიკა დააქცია, და თურმე თბილისში ორჯერ გაზრდილა მისი მომხრეების რიცხვი. ვინმეს თუ სჯერა ამ აბსურდისა, ეს მიშას აგონიაა!

**— რამდენად გაამართლა ოპოზიციის მოთხოვნამ — გადადგეს პრეზიდენტი სააკაშვილი? ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია ჩიხში შევიდა?**

— ჯერ ერთი, ეს არ იყო ოპოზიციისა და ხელისუფლების დაპირისპირება. ოპოზიცია გამოხატავდა და გამოხატავს საზოგადოების აბსოლუტური ნაწილის მოთხოვნას. მეორე — სასაცილოა იმაზე ლაპარაკი,



რომ ეს რადიკალური ლოზუნგი იყო, ცოტა რბილი ლოზუნგის შემთხვევაში ხელისუფლება დათმობდაო.

საქმე ისაა, რომ სააკაშვილის რეჟიმი ისეთია, ერთი დათმობით ლამის მთლიანად ჩამოიქცეს. უმარტივეს მაგალითს გეტყვით — გმირთა მოედანზე სამკუთხედის შექმნის შემდეგ რახიტული მოძრაობა მივიღეთ. მაშინ როდესაც მთელი თბილისი ამის წინააღმდეგი იყო და სამკუთხედის გაუქმებას მოითხოვდა, ხელისუფლების ერთ-ერთმა უმაღლესმა პირმა მითხრა: ეს რომ გავაკეთო, სისუსტედ ჩაგვეთვლება, მერე სხვა რაღაცეებს მოგვთხოვენ და გადაგვაყენებენო.

ასე რომ, გინდა პრეზიდენტის გადადგომა, მოითხოვე, გინდა კავსაძის ქუჩაზე მიწისქვეშა გასასვლელის გაკეთება და 100-ლარიანი აქცია გამართე. ესენი პრინციპში უარს ამბობენ. ამ საპროტესტო აქციების მიზანი არსებული რეჟიმის ჩამოშლა-დემონტაჟი ანუ დესააკაშვილიზაციაა, ეს უწინარესად ადამიანების ცნობიერებაში უნდა მოხდეს, რაც ხდება კიდეც, მაგრამ არ არის ერთჯერადი პროცესი — დავიძინებ, გავიღვიძებ და მიშა აღარ იქნება, ასე არ ხდება, უფრო სწორად, ასე თეორიულად შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ სიკეთეს არ მოიტანდა — ერთი მიშას მაგივრად მეორეს მივიღებდით. მე კი მიშა-2 სულაც არ მინდა.

**— საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ კახა თარგამაძისა და ოპოზიციის ორი წარმატებული ლიდერის შეხვედრის ამსახველმა კადრებმა განხიბლა მრავალი ადამიანი...**

— არა მგონია, რომ ამან რაიმე არსებითი ზეგავლენა მოახდინოს პროცესებზე. გაუგებარია, რა იყო იმ კადრებში განსაკუთრებული, თავად ხელისუფლებამ თქვა, რომ არავითარი კრიმინალი არ იყო...

იხ. 4 გვ.

გულის ბუხარი

# ხლისტები

## რამდენი გირვანქა ტვინი ექნება ჩვენი „რეფორმატორების" მიერ გამოყვანილ „ახალ ქართველს"?

**პირველად დიდი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან გავიგე ეს სიტყვა. არ ვიცი, ასეთი სექტა თუ არსებობს დღეს, ან საერთოდ იყო თუ დიდი მწერლის მოგონილია, რადგან არც „დათა თუთაშხიამდე" და არც მას შემდეგ ასეთი არც სიტყვა მსმენია და არც მსგავსი სექტის შესახებ გამიგონია რამე.**

ხლისტი — რაღაც იდუმალების, ბოროტების, საშიშროების ჟღერადობა კი აქვს, იმის მიუხედავად, ვინმემ იცის თუ არა ჩემსავით ამ სიტყვის შინაარსი. რას აღარ უწოდებენ თანამედროვე პერიოდიკაში თუ ზეპირ საუბრებში დღევანდელი რეალობით შეწუხებული ქართველები იმ ხალხს, ვინც შეფარვით თუ აშკარად ებრძვის ყოველგვარ ქართულ, ტრადიციულ ღირებულებებს, ვინც ახალგაზრდებში აგიტაციით ლამობს ქართული სულიერების ჩანაცვლებას აგრესიული კოსმოპოლიტიზმის, ათასი ჯურის სექტანტობის, სოდომ-გომორის ცოდვის და მრავალი სხვა, ქართველობისთვის შეუთავსებელი გარყვნილობის პროპაგანდით.

მანქურთები, სატანისტები, მასონები... ასეთ ზედსართავებს ვხმარობდი და სულ ახლახან თავიდან აღმოვაჩინე ხლისტი. სიტყვა რომელსაც, ჩემი აზრით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილის კრებსით განსაზღვრებად გამოდგება და ამის შემდეგ, როცა ქართველთ მოძულე შინაურ თუ გარეშე მტრებზე მომიწევს წერა ან საუბარი, მათ მხოლოდ ხლისტებად, ბუდარად და ბუდარიხებად მოვიხსენიებ.

**ხლისტებიდან ზოგი დიდია და ზოგი — პატარა, ზოგი ქალია და ზოგი —კაცი, ზოგი ქართველია და ზოგი — არა, მაგრამ ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს: ვითომ პროგრესისთვის მებრძოლნი, ყველაფერ ეროვნულს მტრობენ. ანუ ბოროტები არიან! ანუ ხლისტი ხლისტია!..**

წინამდებარე წერილის მთავარი გმირი სწორედ ერთ-ერთი ხლისტი, ჭავჭავაძის უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე იქნება, თუმცა შეიძლება მისი კოლეგა სხვა ხლისტების ხსენებაც დაგვჭირდეს.

„ფილოსოფოს" გიგი თევზაძისთვის ასეთი პატივის მიგების სურვილი მას შემდეგ გამიჩნდა, რაც ერთ-ერთ სატელევიზიო პორტალზე მის „ნააზრევს" გავეცანი. საიდანაც ამოკრეფილ „ობოლ მარგალიტებს" მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტან და მასთან ერთად ვეცდები ამ „მარგალიტთა მფანტველისთვის" საკადრისი პასუხის გაცემას.

### გიგი თევზაძის ფიქრები, მიჩურინი ვიქნები!

**რაო, მიჩურინი რა შუაშიაო? იმ შუაშია, რომ ფილმ „ჭრიჭინადან" მაინც უნდა გვახსოვდეს, როგორ გამოიყვანა მიჩურინმა მცენარეთა შერჩევის, სელექციის გზით ვაშლის ახალი ჯიში, გირვანქანახევრიანი „ანტონოვკა".** ჰოდა, ზოგადად ხლისტების, კონკრეტულად კი გიგი თევზაძის მიზანი, რომ ე. წ. „ახალი ქართველი მოქალაქის" ჯიშის გამოყვანაა, ამას არც მალავენ. იმასაც ამაყად აცხადებს ეს ვაჟბატონი, რომ „მეფე გიორგი (მიშა! **ავტ.**ძ დიახაც ისმენს თათბირთა ჩემთაო" და ესენიც აპირებენ ქართველთა (პედერასტების, სექტანტების, ათეისტების, კოსმოპოლიტებისძ შერჩევა-სელექციის გზით ისეთი ჯიშის გამოყვანას, რომელსაც გირვანქანახევარი კი არა, მისხალი ტვინი არ ექნება და ამიტომ ყველაფერი ქართული, ზნეობრივი უცხო იქნება მისთვის.

ამ მიზნის მიღწევის გზაზე მთავარი დაბრკოლება რომ გოგებაშვილის „დედა ენაზე" აღმოცენებული განათლების სისტემა იყო, ეს კარგად იცოდა გიგიია ხლისტმა, რასაც არც მალავს.



**„არაფერი მომიგონია და შეუძლებელიცაა მოიგონო იმიტომ, რომ განათლების სისტემები 200 წელია (ალბათ ამერიკული. ავტ.) არსებობენ და ყველანაირი ფორმა გამოცდილია, განათლების ის სისტემა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით 2003 წლამდე, აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარუმატებელი"...** (ამ ხლისტის ციტირებისას აქაც და ყველგან სტილი დაცულიაძ.

ჰა, როგორია? მიდი და დაუდექი, თუ ბიჭი ხარ, ამ ხლისტის ტვინის ნასხლეტს! ჯერ იყო, კომუნისტებმა „შეგვჭამეს" 70 წელი 1917 წლის რევოლუციით. ახლა კიდევ ამათ 2003-ით! ლამის ისეთ სამანად დაგვიდონ ვარდების რევოლუცია, როგორც ქრისტეშობა. ანუ, როგორც ბუნებრივად ვამბობთ, ესა თუ ის ამბავი ქრისტეშობამდე მოხდა ან მას შემდეგო, ისევე ძალით გვტენიან აზრს, რომ ვარდების რევოლუციამდე განათლება კი არა, არაფერი გვივარგოდა ქართველებს.

**200 და მეტი წლის კაკალი თუ ცაცხვი დგას ყოველი მეორე ქართველი გლეხის ეზოში, რომ არაფერი ვთქვათ იყალთოს, გელათის აკადემიებზე, სადაც ამერიკის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე ღებულობდნენ განათლებას. ყველა, ყველა და კომუნისტებს განათლების სისტემას ვერ დაუწუნებდი. სწორედ ამის დამსახურება იყო ის, რომ ქართველი კაცი თავის ეროვნულ ფესვებზე იზრდებოდა. მართალია მომარქსმოლენინიზმებული კი იყო ჩვენი სკოლები თუ უმაღლესი სასწავლებლები, მაგრამ ეს რომ უბრალო ფორმალობა, სავალდებულო ანტურაჟი იყო, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან დაწყებული, ესეც ფაქტია.**

სწორედ ეს მოშალეს ამ ხლისტებმა, თითქმის ამოიღეს სკოლებიდან თუ უმაღლესებიდან „დედა ენა", ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და სხვა, „ახალი ქართველისთვის" ზედმეტი, არასაჭირო საგნები: შოთას, ილიას, ვაჟას და კიდევ სხვა ქართველი ბუმბერაზ-კლასიკოსების — ამ „ჩამორჩენილი ხეპრეების" ნაცვლად, სექსოლოგიას, სექტანტობას და სხვა მრავალ, ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელ, სულის წამბილწავ „პროგრესულ" დისციპლინებს ასწავლიან ჩვენს შვილებს!

**იმაზე მეტი ცინიზმი გაგონილა, რომ ამ ყველაფერს იმ განათლების რეფორმით სჩადიან, რომლისთვისაც, არც მეტი, არც ნაკლები, „ილია ჭავჭავაძე" დაურქმევიათ და რომლის „დირექტორიც" ეს ხლისტი გიგი თევზაძე ბრძანდება. ილიას სახელობის უნივერსიტეტის რექტორი ილიასავე სახელობის რეფორმით ანგრევს იმას, რის შენება-დაცვასაც შეეწირა ილია მართალი.**

**„დღეს თუ არის გიგი თევზაძე მენტალობით ნამდვილი, ტრადიციული ქართველი?** — მის მიმართ დასმულ ამ კითხვაზე აიჭრა, მაგრამ რა აიჭრა გიგი ბატონი! და მერე შეუბერა, გარეკა, მაგრამ რა გარეკა, ახლა წაგიკითხავთ თუ გინდათო (ალბათ საკუთარ ფილოსოფიურ ნაშრომს **ავტ.**ძ და...

**„მოახდინე ერთი გრუზინის და გურჯის დეფინიცია და რით განსხვავდება ის ქართველისაგან? გრუზინი, გურჯი არის ადამიანი, რომელიც იმყოფება პოსტსაბჭოთა სტერეოტიპების ტყვეობაში და ჰგონია, პოლიციასთან თანამშრომლობა და კრიმინალის ჩაშვება გრეხია"...**

იხ. 4 გვ.

ექსპერტი

# სააკაშვილზე ხელი უკვე ჩაიქნიეს, მაგრამ მისი ალტერნატივა ჯერ არ შეურჩევიათ...

(მესამე გვერდიდან)

„მაესტროზე“ დარჩიაშვილს ჰკითხეს, თუ გაქვთ რაიმე საბუთი იმისა, მაჭავარიანმა რომ თქვა ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლების დამხობას გეგმავენო. დარჩიაშვილმა უპასუხა — არაო. ეს ბატონი მაჭავარიანის ვერსია იყოო.

მეც შემიძლია ასევე ვერსიის დონეზე განვაცხადო, რომ ბატონი მაჭავარიანი და დარჩიაშვილი მარსელი აგენტები არიან. აქედან პარანოიამდე ერთი ნაბიჯია. როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე რაღაცას „აბრეხვებს“, ამის საბუთიც უნდა ჰქონდეს. ვერსია შეიძლება ათ. პროცესები ცოტა გაჭიანურდა, ხალხის გადაღლას ზაფხული დაერთო. ხელისუფლებას კი არცთუ ისე მყარი პოზიცია აქვს: ამერიკის შეერთებულ შტატებში, თანამდებობაზე აღარ დარჩა არც ერთი პირი, რომელსაც წლების მანძილზე სააკაშვილთან ჰქონდა ურთიერთობა.

ჩვენს მედიას გამორჩა ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი — უშიშროების საბჭოში ობამას მთავარ მრჩეველს რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში, იმავე დროს, ობამასთან დაახლოებულ პიროვნებას მაკფოლს უკვე გაკეთებული აქვს შეფასება, რომ ომი და სამხედრო მოქმედებები ცხინვალში პირველმა სააკაშვილმა დაიწყო. როდესაც ამერიკის პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი ასეთ დასკვნას დებს და იგივე ჟონავს ტალიავინის კომისიისგანაც, ეს უკვე მრავლისმეტყველია.




პოლიტოლოგმა წამოაყენოს.

ბერლინის შეხვედრაში რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვხედავ, სიმართლე რომ გითხრათ, გაცილებით უცნაური იყო ჩემთვის სააკაშვილის ორგანიზებულ მიტინგზე ბატონი ივანოვის გამოსვლა.

**— ზაფხული ყოველთვის ამოსუნთქვის საშუალებაა, მაგრამ შემოდგომაზე რას უნდა ველოდოთ?**

— სულ გაჩუმებული რომ იყოს ოპოზიცია, ეს ხელისუფლება ისეთი ბრიყვია, თავად გამოიყვანს ხალხს ქუჩაში, მით უფრო, შემოდგომაზე ეკონომიკური ვითარება კატასტროფული იქნება. მალავენ იმას, რომ ბიუჯეტი ცარიელია, მაგრამ როდემდე დამალავენ? სიტუაცია ანეკდოტს ჰგავს — უსინათლოს რომ ცოლი მოუკვდა და ნუ ვეტყვითო. ხელფასებს რომ ველარ დაარიგებენ, მერე რას იზამ?

საქმე ისაა, რომ სააკაშვილის მრავალი მომხრე საკუთარ თავს ბოლომდე არ უტყდება, რომ ეს ხელისუფლება ბრიყვია. ძალიან ძნელია იმის აღიარება, ბრიყვი ხელისუფლება გენიალურ ადამიანთა საკრებულოდ მიგაჩნდეს, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღედგინა და დავით აღმაშენებლის მსგავსი საქმეები ჩაედინა.

**— მაგრამ დასავლეთი ჯერჯერობით ისევ სააკაშვილს უჭერს მხარს, ეს საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას კარგად გამოჩნდა.**

— ჩემი აზრით, სააკაშვილზე ხელი ჩაქნეულია, მაგრამ ალტერნატივა ჯერ არ შეურჩევია.

მინდა ისიც გითხრათ, რომ ივლისის ბოლოს უკრაინასა და საქართველოში დაგეგმილი ბაიდენის ვიზიტიც მრავალ კითხვას გასცემს პასუხს. ცნობილია, რომ იგი ოპოზიციასაც ხვდება.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ დასავლეთს ჯერ სააკაშვილის ალტერნატივა არ შეურჩევია. თქვენ ვის მოიაზრებთ ასეთად ოპოზიციიდან?**

— „ვარდების რევოლუციაში“ მე პირადად არ მიმილია მონაწილეობა, რადგან მაღალი რანგის სამხედრო პირი ვიყავი და პოლიტიკური საქმიანობა კანონით მქონდა აკრძალული.

ამ საქმეში ჩახედული ადამიანები მომიყვნენ, რომ არც შევარდნაძის სწრაფად გადაყენების და არც სააკაშვილის მოსვლის პერსპექტივით ამერიკელები დიდად არ აღფრთოვანებულან, მაგრამ მოხდა.

ასე არ ხდება ისტორიაში, სადღაც დასხდნენ და თქვან, მოდი, ეს ბიჭი დავნიშნოთო. ოპოზიციური ლიდერების წრე გამოკვეთილია, საიდანაც შეიძლება იმ ალტერნატივის შერჩევა.

ვინც არ უნდა შეარჩიონ, უპირველესად, ირჩევს ქართველი ერი და ამ შემთხვევაშიც სწორედ ქართველი ერი შეარჩევს არჩევანს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

გულის ბუხარი

# ხრისცუმი

(მესამე გვერდიდან)

კარგი, ბატონო! ვისაც ჩემსავით გეხებათ, მკითხველებო, ეს გრუზინ-გურჯული დამუნათება, აბა მე და თქვენ რაღა გვეშველება, მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს: გიგი თევზაძე ხლისტად ხომ არ დაბადებულა, მასაც ხომ ჰყავდა დედ-მამა, ისიც ხომ გრუზინულად გაზარდეს და, ნეტავ, ვინ და რით აცრა ისე, რომ ოდნავი სიყვარული არ შერჩენია საკუთარი წარსულისა? იმიტომ ხომ არა, რომ ხლისტებმა არ იციან სიყვარული?

**პოლიციასთან თანამშრომლობა (თუმცა პოლიციასაც გააჩნია) და კრიმინალის ჩაშვება კი არ არის „გრეხი“. სავალალო ის არის, რომ პავლიკ მოროზოვის სინდრომის დანერგვას ცდილობენ. ანუ, იმას, რომ შვილმა მამა, ძმამ ძმა დააჭერინოს! იმას ოცნებობენ, რომ ნახევარი საქართველო ნომრიანი აგენტი იყოს შსს-სი, მეორე ნახევარი — უნომრო!**

**„რომ ქართული საბჭოთა განათლება და მეცნიერება მოწინავეა მთელს მსოფლიოში“...**

ღვარძლიანად აგრძელებს ტრადიციული ქართველის დეფინიციას ეს „ნაცმოელი“ იდეოლოგი. განათლებაზე ზემოთ ითქვა. აი, რაც შეეხება მეცნიერებას, თუნდაც საბჭოთა ქართული მეცნიერული სკოლა რომ მართლაც ერთ-ერთი მოწინავე და საუკეთესო იყო მთელს მსოფლიოში, ესეც საკამათოა? ალბათ მხოლოდ ხლისტებისთვის.

**„რომ ადამიანი, რომელსაც თვალები ფართოდ არ ეხილება,**



**ან სატანისტია, ან — ჩინელი“...** ქსენოფობიაც დაგვაბრალა ამ ხლისტმა.

არა, ჩემო იმანო. ჩვენ, გრუზინ-გურჯებს, ის გვაწუხებს, რომ ვიწრო თუ ფართო თვალებიან გადამთიელებზე იყიდება ქართული მიწა-წყალი, სატანისტური სექტებით გაივსო საქართველო და იძულებული ვართ, ასეთები მტრებად მივიჩნიოთ, თორემ შემწყნარებელი დასავლეთი სად იყო, როცა ქართველმა კაცმა ჯერ კიდევ როდის, ლექსად ამოიოხრა — **„ყველა ადამის შვილნი ვართ, თათარიც ჩემი ძმა არის“.**

**„რომ კათოლიკე მწვალებელი და მართლმადიდებლობის მტერია“...**

რა, ის რომ თავიდან მთელი საქრისტიანო ერთიანი იყო, ესეც სადავოა? თუ ის, რომ სწორედ კათოლიკეების განდგომით დაირღვა ის ერთობა, რომლისგანაც წარმოიშვა პროტესტანტიზმი, ლუთერანობა, ანგლიკანური ეკლესია, პაპიზმი და მისი „წმიდა ინკვიზიცია“, რომლის კოცონებზე იწვებოდა ყოველი საღი აზრი მაშინდელი ევროპისა.

**ხლისტებს ის ვერ აუტანიათ, რომ თუნდაც ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სრული უფლება გვაქვს, მართლმადიდებელი სარწმუნოების განსაკუთრებულობაზე ვილაპარაკოთ, თორემ „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცეო“, ესეც ჩვენი ნათქვამია.**

რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის მტრობას, იქნებ არც კათოლიკეებს ამოსდით ჩვენზე მზე და მთვარე, მაგრამ მთავარი მტრები ისევ შინაურები არიან. მაგალითად, კიდევ ერთი ბოზოლა ხლისტი, „ფილოსოფოსი“ ნოდარ ლადარია, რომელმაც ლამის კრემლის აგენტად შერაცხა ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

**„რომ ნებისმიერი ფართოდ აღიარებული ქართველი მოღვაწის გაკრიტიკება ანტიეროვნულობის და ყოველივე ეროვნულის სიძულვილის ნიშანია“...**

სწორედ რომ ასეა. თუ აღიარებულია ვინმეს ღვაწლი, რას ერჩი? ანდა იმასაც ხომ გააჩნია, ვინ ვის აკრიტიკებს? „მწერალი“ ზაალ სამადაშვილი, რომელიც შეთავსებით საკრებულოს თავმჯდომარეც არის, იმას რომ იტყვის, რეზო ამაშუკელს, ასეთ პოეტს არ ვიცნობო, რა ჰქვია ამას?

**„რომ კაცი ქუჩაში უნდა იზრდებოდეს“...**

**არა, ბატონო, ყველა ნორმალური კაცი ოჯახში იზრდება, მაგრამ ქუჩაც ცხოვრებაა, გნებავთ სკოლა, რომლის ანაბანის ცოდნა ყველასთვის სასურველია. ე. წ. „ქუჩის ბიჭობა“ სულაც არ ნიშნავს კრიმინალს, თუმცა მათი სამჭედლო რომ ქუჩაა, ესეც უდავოა. ბიჭობაც ის არის, რომ ის ბეწვის ხიდი გაიარო, ქიციც გაიგო, ქიცმაცურიც და ასე შეაბიჯო კაცობაში: ნოდარ დუმბაძე, რეზო ლაღიძე, დოდო აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ამაშუკელი, სხვები და სხვები, სანამ იმას მიაღწევდნენ, რანიც იყვნენ და არიან, მანამდე „ქუჩის ბიჭებიც“ იყვნენ.**

**„რომ ამათმა** (ე. ი. მეცძ **მეცნიერება დაანგრიეს. სხვათა შორის, ეს ქართველის რუსული განსაზღვრებაა. რუსეთში გაიგონებთ,**



**რომ საქართველო რესტორანია და რესტორნის დამოუკიდებლობა ვის გაუგიაო“...**

ახლა რომ ვამტკიცო, ამათ მეცნიერება ააშენეს-მეთქი, დამიჯერებს ვინმე? რაც შეეხება რესტორანს, ასეთები იქნებ არიან კიდეც რუსეთში, მაგრამ ეს ის ხალხია, ვინც რესტორანში ქეიფობს კი არა, ერთი „პოლლიტრას“ სანაცვლოდ საკუთარ ცოლს დაგითმობს.

საბედნიეროდ სხვა — ტოლსტოის, დოსტოევსკის, ბულგაკოვის და ვინ მოთვლის ბოლომდე რუსეთის უკეთეს შვილებს, მეორე, ერთმორწმუნე დიდი რუსეთიც არსებობს, რომელთანაც ადრე თუ გვიან მოგვიწევს ახალი ურთიერთობების დალაგება, ურომლისოდაც საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მომავალი არა აქვს.

რომ, რომ და... რამდენი ასეთი „რომ“-ის ციტირება შეიძლება ამ ხლისტის ნაბოდვარიდან, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია. ვისთან გვაქვს საქმე, მგონი ნათელია. ამიტომ წერილის ბოლოს მინდა ხლისტების ერთი, ჩემი აზრით, არცთუ უმნიშვნელო თავისებურებაზე ვთქვა.

## ამ ხალხის თვალებში სევდას ვერ იპოვნი

**სევდა — ესეც ნიჭია. დააკვირდით, ყველა ნამდვილ მამაკაცს თვალებში ფარული სევდა აქვს ჩაბუდებული, რადგან სევდა ფიქრის, დარდის, განსჯის, სინანულის და სხვა მრავალი მაღალი სულიერი ღირებულების პროდუქტია.**

**დააკვირდით გიგი თევზაძისა და სხვა ცნობილი ხლისტების თვალებს. სევდის გარდა ყველაფერს იპოვით გაყინულ, შუშის მსგავს მზერაში.**

**ეს ისე, ლირიკულ-რომანტიული გადახვევა, ურომლისოდაც არ არსებობს ქართველი კაცის ფენომენი. სწორედ ამისთვის — ოცნების, ნატვრის, რომანტიკის ნიჭის გამო ვეზიზღებით ხლისტების ჯილაგს, სწორედ ამისთვის გვეძახიან გრუზინ-გურჯებს.**

**მანამდე არაფერი ჭამონ ამ ხლისტებმა, სანამ ჩვენი გადაკეთება მოახერხონ.**

გრუზინი-გურჯი
**დავით მხეიძე**

*P. S. წერილის დასრულებისას, რაღაც უკმარისობის გრძნობა დამრჩა, რადგანაც ხლისტებზე ეპისტოლარული საუბარი წლის ნაყვაა, ამიტომ ბებერ გულში ჭაბუკურად ამიჩქროლდა სისხლი — ნეტავ ამ ხლისტების თავი მომცა სადმე „მოყუჩებულში“.*

**დ. მ.**

ინფორმაცია

## კიდევ ერთი რუსი ჯარისკაცი გვთხოვს თავშესაფარს

**საქართველოს თავშესაფარს კიდევ ერთი რუსი ჯარისკაცი სთხოვს. რუსული საოკუპაციო ძალების ჯარისკაცი დიმიტრი არტემიევი ოკუპირებულ პერევში განთავსებული უკანონო ბლოკ-საგუშაგოდან გამოიქცა.**

**მან თავშესაფრის მინიჭების თხოვნის შუამდგომლობით გაეროს ოფისს მიმართა.**

**რუსი ჯარისკაცის განცხადებით, მას პერევში გაუსაძლის პირობებში უწევდა ყოფნა.**

**ძალიან ცუდად მექცეოდნენ. მცემდნენ, ამიტომაც გამოვიქეცი პერევის საგუშაგოდან. აქ ჩამოსვლამდე საქმელს სხვადასხვა სოფლებში მოსახლეობა მაჭმევდა, — განუცხადა ჯარისკაცმა ქართველ ჟურნალისტებს.**

**აღსანიშნავია, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გაეროს ოფისის შუამდგომლობა უკვე დააკმაყოფილა და რუს ჯარისკაცს ლტოლვილის სტატუსი უკვე მიანიჭა.**

**არტემიევი მეორეა, რომელიც რუსეთის საოკუპაციო ჯარებიდან გამოიქცა და თავშესაფარი საქართველოში ითხოვა.**

ჯი-ეივ-ენი

## ხმა ქვეყნის გასაგონად

# ხალხმა და მხოლოდ ხალხმა უნდა დასვას ბოლო წერტილი...

## მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

**ქალბატონებო და ბატონებო,**

**მე, ექსპერტი ადამიანის უფლებათა განათლების დარგში (ჟენევა), ადამიანის უფლებათა ფილოსოფიური საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (ნევადა), სამართლის და საზოგადოების ევროპული ასოციაციის წევრი (პარიზი), პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ბიძინა (გურჯი) სავანელი, ვადასტურებ რა ჩემს ტრადიციულ ერთგულებას თქვენდამი, კვლავ შეგახსენებთ, რომ:**

**2007 წლის 7 ნოემბერს** მიხეილ სააკაშვილმა უხეშად დაარღვია „ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მუხლები 4, 5, 14, 17, 18, 19, 27; გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის დეკემბრის „სამართალდამცავ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი“; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები: 9, 10, 11, 14, 15; საქართველოს კონსტიტუციის 5, 6, 7, 17, 18, 19, 20, 22, 24, 25, 26, 39, 40, 43, 46-ე მუხლები.

**კერძოდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე:**

ა) დაარბია, თავისუფლება აღუკვეთა და პოლიტიკური თავისუფლება შეუზღუდა **მოშიმშილე** მომიტინგეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ პარლამენტის კიბეებზე, **სადაც არ არის ტრანსპორტის და ხალხის სამოძრაო ადგილი;**

ბ) დაარღვია ყველას უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, მაშინ როდესაც მოშიმშილეები იმყოფებოდნენ პარლამენტის კიბეებზე, ხოლო **მომიტინგეები - რიყეზე, სადაც არ არის ტრანსპორტის და ხალხის სამოძრაო ადგილი;**

გ) უხეშად დაარღვია მოქალაქეთა, მათ შორის მომიტინგეთა და პოლიტიკური პარტიების ლიდერთა და წევრთა **პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება;**

დ) ტელე „იმედის“ შენობის და ჟურნალისტთა ბარბაროსული დარბევით, ტექნიკის და ტელეაპარატურის ვანდალური განადგურებით, ტელე „იმედის“ და „კავკასიის“, აგრეთვე სნნ-ის, ბბს-ის და ევრონიუსის ტელემაუწყებლობის გათიშვით, ოპოზიციური პარტიების საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის ტელესივრცით სარგებლობის უფლების შეზღუდვით, ინფორმაციის გავრცელების სატელევიზიო საშუალებათა მონოპოლიზაციით ხელყო **მასობრივი საშუალებების თავისუფლება და მათი ცენზურის დაუშვებლობა, ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით;**

ე) დაბრკოლება შეუქმნა სახალხო დამცველს მის საქმიანობაში და **მას ფიზიკური და მორალური ზიანი მიაყენა;**

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ზემოაღნიშნული უფლებების ხელყოფის შედეგად სააკაშვილმა ჩაიდინა **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154, 159 და 161 მუხლებით** გათვალისწინებული დანაშაულები;

კერძოდ, დანაშაულები გათვალისწინებული:

**სისხლის სამართლის კოდექსის 153 მუხლით,** რომლის ძალით: „სიტყვის თავისუფლების და ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისთვის უკანონო ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ანდა **ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლით,** რომლის ძალით: „ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელის შეშლა, ე.ი. მისი იძულება გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან; იგივე ქმედება **ჩადენილი ძალადობის მუქარის ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 159 მუხლით,** რომლის ძალით: „პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა; იგივე ქმედება ჩადენილი ანგარებით, **არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 160 მუხლით,** რომლის ძალით: „ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, ანუ ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან მფლობელობის ხელშეუხებლობას; იგივე ქმედება **ძალადობით** ან ძალადობის მუქარით ან **რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფურად ან სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 161 მუხლით,** რომლის ძალით: „შეკრების ან მანიფესტაციის უფლების უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; იგივე ქმედება, ჩადენილი **იარაღის გამოყენებით, ან რამაც მასობრივი არეულობა,** სიცოცხლის მოსპობა ან **სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.**

სააკაშვილის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა და სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულთა ჩადენა დადასტურებულია საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების – სახალხო დამცველის – დასკვნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილს ბრალი ედება მასში, რომ მან უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციით ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ჩაიდინა დანაშაულები გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154, 159, 160 და 161 მუხლებით.

ამის გამო, პრეზიდენტის პოსტიდან სააკაშვილი ნებაყოფლობით გადადგა. პრეზიდენტის პოსტიდან სააკაშვილის გადადგომა როგორც ნორმატიული აქტი იყო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რაც სამართლებრივად ნიშნავდა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევების და დანაშაულთა განზრახ ჩადენაში მის მიერ ბრალის აღიარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააკაშვილს იურიდიული უფლება არ ჰქონდა თავისი კანდიდატურა ხელმეორედ წარედგინა პრეზიდენტის პოსტზე. შესაბამისად, 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზე მის მიერ მიღებული ხმების იურიდიული ძალა ნულის ტოლია, რის გამო „მიღებული“ ხმები დანარჩენი კანდიდატების მიერ მიღებული ხმების პროცენტების გათვალისწინებით მათზე პროპორციულად უნდა გადანაწილებულიყო და ბატონი ლევან გაჩეჩილაძე საქართველოს დე იურე პრეზიდენტად 26 მაისს უნდა გამოცხადებულიყო, ხოლო სააკაშვილი – პირად, რომელმაც საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5-ის, პუნქტი 3-ის დარღვევით მიითვისა და უკანონოდ მოიპოვა ხელისუფლება.

**საქართველოს ასევე არ ყავს დე იურე პარლამენტი,** რადგან არალეგიტიმურმა პრეზიდენტმა უკანონოდ დანიშნა პარლამენტის არჩევნები. უფრო მეტი, არალეგიტიმურმა პრეზიდენტმა გააყალბა არჩევნები – ანუ დამატებით ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული სისხლის

იხ. 6 გვ.

## თვალსაზრისი



***რუსეთთან თანამშრომლობაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთმანეთის მიმართ ბრალდებებზე, აქტივისტების მიმართ რეპრესიული მანქანის გამოყენებაზე; აგრეთვე, მოსალოდნელია თუ არა შემოდგომაზე ფართომასტაბიანი საპროტესტო აქციები და როგორ შეიძლება განხორციელდეს გადაჯგუფება ოპოზიციურ ფლანგზე, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტ ლადო პაპავას ესაუბრა.***

# ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ყველანაირ შანსს იყენებენ, რათა ერთმანეთი რუსეთთან თანამშრომლობაში დაადანაშაულონ

**– ბატონო ლადო, ხელისუფლება ოპოზიციას, ოპოზიცია კი ხელისუფლებას რუსეთთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს. თქვენი აზრით, რომელი მხარის ბრალდებები გამოიყურება უფრო დამაჯერებლად?**

– რუსეთის თემა ქართულ პოლიტიკაში ობიექტურადაც და სუბიექტურადაც ძალიან პოპულარულია. ობიექტურად პოპულარულია უარყოფითი თვალსაზრისით, რომ რუსეთი არის ოკუპანტი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ აგრესია განახორციელა, აგრძელებს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ განცხადებებს, საერთაშორისო ასპარეზზე უარყოფით როლს ასრულებს და საქართველოს საზღვრებთან ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს აწარმოებს. იმავდროულად, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მტკიცებულებების გარეშე ყველანაირ შანსს იყენებს, რათა ერთმანეთი რუსეთთან თანამშრომლობაში დაადანაშაულონ.

ორივე მხრიდან ბევრია ბრალდება, ლანძღვა ისმის, თუმცა, იმავდროულად, არის გარკვეული ლოგიკა, რომელსაც ვერავინ ვერ გაექცევა.

**– ორივე მხარეს აქვს ლოგიკური ბრალდებები?**

– ლოგიკა მეტ-ნაკლებად ორივე მხარეს არის. რუსი ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ქართული ოპოზიციისა და რუსეთში ხელისუფლების მხარდამჭერი მოძრაობების მოქმედებებში ძალიან დიდი მსგავსებაა – საკნები, კურდღლები, სტაფილოები და ასე შემდეგ. გაცილებით სერიოზული რუსი ექსპერტები აკეთებენ დასკვნას, რომ დღეს რუსეთისთვის უფრო ხელსაყრელია საქართველოს დღევანდელი რეჟიმი, რადგანაც ამ რეჟიმის პირობებში მოსკოვი თბილისთან საუბარს არ აპირებს. ასეთი პოზიცია კრემლს აძლევს საშუალებას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აკეთოს ყველაფერი, რაც მოესურვება.

იმავე ექსპერტთა აზრით, ვინც არ უნდა იყოს საქართველოს შემდეგი ლიდერი, მაინც პროდასავლური ორიენტაციის იქნება და რუსეთი მასთან ვერ მოახერხებს იმავე პოზიციის გატარებას. ახალი ხელისუფლების პირობებში მოსკოვი იძულებული იქნება, დაელაპარაკოს საქართველოს ახალ ხელისუფლებას და საერთაშორისო ასპარეზზეც გადადგას გარკვეული ნაბიჯები.

**– ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება საზოგადოების რადიკალიზმის განელებას რეპრესიებით ცდილობს და იმედოვნებს, რომ ხელისუფლების ამგვარი ქმედება უკვალოდ არ ჩაივლის, უკმაყოფილების მუხტი კიდევ უფრო გაიზრდება. თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა შემოდგომაზე საპროტესტო აქციების მორიგი ფართომასშტაბიანი ტალღა?**

– საქმე ის არის, რომ არ გადაწყვეტილა არც ერთი პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აღელვებს. ამიტომ აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რამდენად ყოჩაღი იქნება ოპოზიცია, არამედ იმაზე, მოსახლეობას რამდენად ექნება იმის განცდა, რომ საზოგადოების მოთხოვნები დაკმაყოფილდა. სამწუხაროდ, ხელისუფლება უფრო იმაზე ზრუნავს, რომ საზოგადოებას დაანახოს ოპოზიციის სისუსტე, რაშიც გარკვეულ წარმატებებს ნამდვილად აღწევს და სულაც არ ფიქრობს იმ პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც ხალხს აწუხებს და საპროტესტო მუხტის საფუძველია.

ხელისუფლებას არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს სასამართლოს თავისუფლების ხარისხის გასაზრდელად, არც „ტელეიმედის“ კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებაზე უზრუნია; არც არაფერი გაკეთებულა, რომ ე.წ. ნაციონალური ტელეკომპანიები მართლაც დამოუკიდებელნი იყვნენ და მათ საქმიანობაში ხელისუფლება არ ერეოდეს. არის შედარებით მარტივი საკითხები – აღდგეს სპორტის აკადემია, მწერალთა კავშირს დაუბრუნდეს შენობა, თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ხალხს, რომლებსაც დაუნგრიეს სახლები, მიეცეთ ბინები. ახლა მთავრობა ახალი ეკონომიკური ინიციატივებით გამოდის და რა დააშავა თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა დაზარალებულმა ხალხმა, რომლებსაც სახლები ძალით დაუნგრიეს.

ხელისუფლებას არც ერთი ის საკითხი არ გადაუწყვეტია, რომელიც საზოგადოებას აწუხებს და მის საქმიანობაში ამ პრობლემათა გადაწყვეტის სურვილიც არ ჩანს. თუ ხელისუფლება მხოლოდ ოპოზიციის „გაშავებაზე“ იზრუნებს და კონკრეტულ პრობლემებს არ გადაწყვეტს, შემოდგომაზე საპროტესტო ტალღა კვლავ დიდი იქნება. ოპოზიცია ხელისუფლებას თავისი სისუსტით, გარკვეულწილად, ხელს უწყობს, მაგრამ იმის გამო, რომ ხელისუფლება საზოგადოების ინტერესს არ აკმაყოფილებს, ხალხში საპროტესტო მუხტი მაინც დარჩება.

ვფიქრობ, რომ ოპოზიციაში საჭიროა ახალი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ალბათ ჩვენ ახლა ვდგავართ იმ პროცესის წინაშე, როცა ჩამოყალიბდება ახალი პოლიტიკური პარტიები; შეიძლება, დაფუძნდეს ახალი პოლიტიკური გაერთიანებები და, შესაბამისად, შემოდგომაზე მოწმე გავხდეთ ახალი პოლიტიკური ინიციატივების.

**– ოპოზიციაში ძალთა გადაჯგუფების თემა აქტუალურია. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორი იქნება გადაჯგუფება ოპოზიციურ სპექტრში და გადაჯგუფების შემდეგ რამდენად შეძლებს ოპოზიცია საზოგადოებისთვის ახალი პოლიტიკური ალტერნატივის შეთავაზებას?**

– ამ პროცესში ორი რამ არის გასათვალისწინებელი. ერთი, ასე ვთქვათ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება – სხვადასხვა ალიანსების შექმნა და დაშლა არაფრის მომცემია, თუ შინაარსობრივად მიდგომები პრინციპულად არ შეიცვლება. ოპოზიციაში საჭიროა არა გადაჯგუფებები, არამედ ახალი ინიციატივები, პარტიები ახალი იდეებით, ხედვებით, მოსაზრებებითა და წინადადებებით.

დღეს ოპოზიციის ყველაზე სუსტი მხარე ის არის, რომ დასავლელ პარტნიორებს ვერ აჩვენებს, რა უნდა და რის გაკეთებას აპირებს, როგორია მათი ხედვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. უცხოელ პარტნიორებს რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციას არა აქვს ჩამოყალიბებული მომავლის ხედვა. პრობლემა ის კი არ არის, საპრეზიდენტო არჩევნები 2011 წელს ჩატარდება თუ – 2013 წელს. ჩვენ ამ დროისთვის იმავე პრობლემების წინაშე ვიდგებით და ოპოზიციას უნდა ჰქონდეს თავის ხედვა და ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რას გააკეთებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. როგორც ძველმა, ისე ახალმა პარტიებმა ნათლად უნდა ჩამოაყალიბონ მოქმედების გეგმა. გადაჯგუფება და შიდა დაპირისპირებები ბუნებრივია, და არა მარტო იმიტომ, რომ ქართველები არიან ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაში, ეს პოლიტიკური ცხოვრების თანამდევი, ჩვეულებრივი პროცესია.

**– გადაჯგუფების შემდეგ ოპოზიციური ფლანგი გაძლიერდება თუ უფრო მოსალოდნელია პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსვა?**

– იმის გამო, რომ საზოგადოებაში ძლიერი საპროტესტო მუხტი შენარჩუნდება, აქტიური ოპოზიციური პარტიების აუცილებლობა იქნება. მაგრამ, თუ ოპოზიციურ პარტიებში არ გამოიკვეთა საქართველოს მომავალზე რეალური პოლიტიკური ხედვა და მათ საზოგადოებას არ შესთავაზეს ახალი ინიციატივები და წინადადებები, ოპოზიციის სიძლიერეზე საუბარი, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება. მაგალითად, როდესაც ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მზად იყო, გამხდარიყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ოპოზიციის მხრიდან ყველაზე ძლიერი ნაბიჯი იქნებოდა, ყველა პოლიტიკურ პარტიას დაესახელებინა თავის წარმომადგენელი ყველა მინისტრის მოადგილედ. ეს, პრაქტიკულად, ნიშნავდა მართვასა და მართვის პროცესის გაკონტროლებაში ოპოზიციური პარტიების მონაწილეობას. სამწუხაროა, რომ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის ამ ინიციატივაში სხვა ოპოზიციურმა ძალებმა არ მიიღეს მონაწილეობა. ნათქვამია, მტყუანს სამარის კარამდე მიჰყევიო. ზურაბიშვილი არ დაინიშნა, მაგრამ მთელი მსოფლიოსთვის უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, როცა ხელისუფლება თანამშომლობაზე წასულ ოპოზიციას უარით გაისტუმრებდა. სამწუხაროდ, გამბედავ ნაბიჯებზე ოპოზიციური პარტიები ვერ მიდიან. ოპოზიცია თან უმწიკლობის შენარჩუნებას ცდილობს და თან გარკვეული შედეგის მიღწევას, ასე არ გამოვა.

**კობა ბენდელიანი**

ხმა ქვეყნის გასაგონად

(მეხუთე გვერდიდან)

სამართლის კოდექსის 164-1 მუხლით, რომლის ძალით ისჯება: **„არჩევნების დანიშვნის შესახებ აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩეველთათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით“.**

საპარლამენტო არჩევნების დანაშაულებრივი გაყალბება იურიდიულად დადასტურებულია ეუთოს და საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების – სახალხო დამცველის – დასკვნების ურთიერთშეჯერებით.

2007 წლის 7 ნოემბრამდე და მას შემდეგ სააკაშვილის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა მძიმე დანაშაულებს, მათ შორის ერისთვის საარსებო ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვას, დაემატა საერთაშორისო სამთავრობო (მათ შორის, აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის) და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დადასტურებული 2008 წლის 7 აგვისტოს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული, კერძოდ, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით სააკაშვილის მიერ საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ ზონაში ომის დაწყება, იქ მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის და ქართველი მეომრების სასიკვდილოდ გაწირვა, ქართული მოსახლეობის ლტოლვილად ქცევა, და კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერით რუსეთისთვის დე იურედ საქართველოს ტერიტორიის მეხუთედის მიტაცების ევენტუალური ბრალით ხელშეწყობა. სწორედ სააკაშვილზე ითქმის: „მტერისა შინა ყოლასა, ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია“.

მეორე მხრივ, რუსეთი გააგრძელებს, ხოლო ზოგიერთი მეზობელი დაიწყებს (თუ უკვე არ დაიწყო) საქართველოს ტერიტორიების „მცოცავ“ ოკუპაციას, რაც ხელს აძლევს სააკაშვილს, რადგან ის რუსეთის აშკარა და ზოგიერთი მეზობლის მიერ საქართველოს ფარულ ოკუპაციას შეუწყობს ხელს, რუსეთისგან დევნილის საბაბით დატოვებს საქართველოს, უცხოეთში პოლიტიკურ თავშესაფარს მიაღწევს და ქართველი ხალხისგან დანაშაულებრივად მიტაცებულ რამდენიმე მილიარდს სამუდამოდ დაეპატრონება ან დაამყარებს უკიდეგანო დიქტატურას, რათა არ წარსდგეს ჰააგის ტრიბუნალის წინაშე.

**„ნაციონალურმა“ მოძრაობამ** ქართველი ერი მთლიანად, მათ შორის კრიზისში შესული სრულიად არარადიკალური ოპოზიციური პარტიები და ახალგაზრდობის ჯანსაღი ნაწილი დღეისთვის სრული კატასტროფის წინაშე დააყენა.

ამიტომ, სახელმწიფო-სამართლებრივი, მძიმე სოციალური და ეკონომიკური, და ზოგადად მთელი მოსახლეობისთვის მოსალოდნელი კრიზისიდან მშვიდობიანი გამოსავალი არის სრულიად საქართველოს მოსახლეობის თვითორგანიზაცია, თბილისში და რაიონულ ცენტრებში მასობრივ მიტინგებზე შემდეგი გადაწყვეტილების მიღება.

**2009 წლის 27 მაისი.**

## საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის გადაწყვეტილება

### მტკიცებულებითი ნაწილი

საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ახალგაზრდების ჯგუფმა ქვეყანაში ტირანული და მჩაგვრელი რეჟიმი დაამყარა, კერძოდ:

1. საქართველოში ფაქტიურად **აღდგენილია სიკვდილით დასჯა** პოლიტიკური და სხვა მოტივებით, რისი ნიმუშია: პრემიერ-მინისტრის მკვლელობა, აკადემიკოსის მკვლელობა, ახალგაზრდების მკვლელობათა მთელი სერია და სხვა მრავალი მკვლელობა, რაც დადასტურებულია საქართველოს ომბუდსმენის დასკვნებით;

2. ევროპულ ენებზე ნაციონალურ პარტიად სახელგადაკეთებული მოქალაქეთა კავშირი არის ევროკავშირის მიერ დაგმობილი საომარი რიტორიკით დაწყებული და ცხინვალის რაიონში სამხედრო პროვოკაციით დამთავრებული **ომის პარტია,** რომლის ხელისუფლებაში ყოფნის შენარჩუნებაზე გათვლილ საომარ ავანტიურას მშვიდობიანი მოსახლეობისა და ქართველი მეომრების სიცოცხლე შეეწირა, და რის შედეგად მივიღეთ იძულებით გადაადგილებულთა ახალი ტალღა, ხოლო **კაპიტულაციაზე ხელმოწერის შედეგად დე იურედ ვკარგავთ საქართველოს ტერიტორიის მეხუთედს, და რასაც დაემატა მამისონის სტრატეგიული უღელტეხილი, რუსეთის მიერ ოცკილომეტრიანი ზოლის და სტრატეგიული მწვერვალების მიტაცების მოღალატური მიმნებობლობა ჩაბარება;**

3. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ევროკავშირის ბევრმა მთავრობამ დაგმო 2007 წლის 7 ნოემბერს მოშიმშილე ხალხის პარლამენტთან დარბევა, მშვიდობიანი მომიტინგე ხალ-

# ხალხმა და მხოლოდ ხალხმა უნდა დასვას ბოლო წერტილი...



ხის დარბევა რიყეზე, „ტელეიმედის“ თანამშრომელთა და შენობის დარბევა, რის გამო სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა, რითაც მან ევენტუალურად თავისი დანაშაულებრივი ბრალი ერთა თანამეგობრობისა და თავისი ხალხის წინაშე აღიარა, და რის გამოც **სააკაშვილი აღარ არის საქართველოს დე იურე პრეზიდენტი;**

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტის პირველი მუხლის უხეში დარღვევით ხალხის დაუკითხავად უცხოელებზე **გაიყიდა და იყიდება** ერის არსებობისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები;

5. საქართველოს კონსტიტუციის 30-ის მუხლი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტის უხეში დარღვევით ხალხი არ არის უზრუნველყოფილი პროფკავშირებისა და სასამართლოსგან შრომითი უფლებების დაცვით, ხოლო **უმუშევრად დარჩენილი ხალხი მიტოვებულია ბედის ანაბარად და ტოვებს სამშობლოს;**

6. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 28-ის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტის უხეში დარღვევით ხალხს მრავალგზის, მათ შორის 2008 წლის 21 მაისს, წაერთვა უფლება მონაწილეობა მიიღოს გაუყალბებელ, სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში, რაც არაერთხელ დადასტურდა ეუთოს და სახალხო დამცველი დასკვნებით, რის გამო **საქართველოს არ ჰყავს პარლამენტი;**

7. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 24-ის დარღვევით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტის უხეში დარღვევით ხელისუფლებამ **საქართველოში მაუწყებელი ყველა კერძო სატელევიზიო არხის მონოპოლიზაცია მოახდინა,** ხოლო ბიუჯეტიდან დაფინანსებული „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საზოგადოებას, ანუ ხალხს წაართვა; გრძელდება ტელე- და სხვა მედია საშუალებების ჟურნალისტების სისხლის სამართლის წესით დასჯადი დევნა, ცემა, აპარატურის მსხვრევა და წართმევა.

8. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5-ისა და მუხლი 29-ის დარღვევით, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მიერ დაგმობილი საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად **სააკაშვილმა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სრული უზურპაცია მოახდინა,** რითაც ხალხს მოუსპო უფლება მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში, და რის გამო საქართველო პერმანენტულ სახელმწიფოებრივ კრიზისშია;

9. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 34-ის და მუხლი 35-ის დარღვევით ეროვნული მეცნიერების, განათლების და ხელოვნების, მთლიანად კულტურის განვითარების პროცესი დაიბლოკა ხელისუფლების მხრიდან ამ დარგების პირდაპირი მართვის უფლების მისაკუთრებით; მათ შორის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტის უხეში დარღვევით მოხდა სახელმწიფო უნივერსიტეტების ფასიან სწავლებაზე გადაყვანა, რითაც **ხელმოკლე, მაგრამ ნიჭიერ და კონკურენტუნარიან ახალგაზრდებს შესაძლებლობა მოესპოთ მიიღონ უმაღლესი განათლება** და თავისი უნიკალური წვლილი შეიტანონ ქვეყნის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად განვითარებაში;

10. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 21-ისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის უხეში დარღვევით ადგილი აქვს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების, გადაუდებელი აუცილებლობის და სათანადო ანაზღაურების გარეშე **ხალხის პირადი საკუთრების სასამართლოს გვერდის ავლით ძალადობრივ ჩამორთმევას** და ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ შესაბამისი ობიექტების ფარულ მითვისებას;

11. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის უხეში დარღვევით ხელისუფლება ხელს უშლის ეროვნული მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, და დაკავებულია მონოპოლიური საქმიანობით, **პრივილეგიურ მდგომარეობაში ამყოფებს უცხოურ ბიზნესს და მათთან კორუფციულ და პროტექციონისტულ პოლიტიკას ეწევა;**

12. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 31-ის უხეში დარღვევით ხელისუფლება არ ზრუნავს მთელი ქვეყნის ტერიტორიის თანაბარი სოციალ-ეკონომიკური განვითარებისთვის მაღალმთიან, განსაკუთრებით კავკასიონის ქედის სამხრეთ რაიონებში მცხოვრებნი მიტოვებული არიან ბედის ანაბარად, **სოფლის მეურნეობა კვდება და საქართველოში დემოგრაფიული კრიზისია.**

13. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 18-ის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების უხეში დარღვევით სისტემატურად ადგილი აქვს ადამიანთა უკანონოდ თავისუფლების აღკვეთას და პირადი თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას, მათ წამებას და მათდამი არაადამიანურ, ღირსების დამამცირებელ მოპყრობას, დამცველის გარეშე მათი დატოვებას, და ამ დანაშაულთა კვალის და დანაშაულში ეჭვიტანილ თანამდებობის პირთა დანაშაულებრივ დაფარვას.

14. დაბოლოს, სააკაშვილმა დე იურე და შემდეგ დე ფაქტო პრეზიდენტობის პერიოდში დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 71, ანუ დაარღვია ღვთისა და ერის წინაშე დადებული ფიცი, რომ დაიცავდა „საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას, იზრუნებდა ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის, ხალხის და მამულის აღორძინებისათვის და ძლევამოსილებისთვის“. კერძოდ, 2003 წლის 13 დეკემბრიდან პროფ. ბიძინა სავანელის უამრავი რჩევის და საქართველოს სამი წამყვანი სახელმწიფო უნივერსიტეტის 52 პროფესორის 2004 წლის 7 ივლისის მოწოდების განზრახ მიუღებლობამ, სახელდობრ: საქართველოს დსთ-დან დროულად გამოუსვლელობამ, ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების მანდატით სოხუმის და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის დე ფაქტო საოკუპაციო ჯარის საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან გაეროს სამშვიდობო შეიარაღებული ძალებით ჩანაცვლების მოთხოვნის უგულებელყოფამ, ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ საკითხზე აქცენტის დროულად გადაუტანლობამ, სააკაშვილის გაუთავებელმა სამხედრო რიტორიკამ, კოდორის ხეობაში შეიარაღებული ძალების შეყვანამ, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის აღდგენამ და გაფართოებამ, დაბოლოს, 7 აგვისტოს სამხედრო ავანტიურამ ხელი შეუწყო რუსეთის მიერ დე იურედ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ცნობას.

**შედეგად, საქართველოს ხელისუფლებაში ძალით მოსულმა ახალგაზრდების ჯგუფმა ქვეყანაში ტირანული, მჩაგვრელი და საქართველოს დამოუკიდებლობის და ხალხის თვითგამორკვევის უფლების აშკარად ხელმყოფი რეჟიმი დაამყარა.**

### დასკვნითი ნაწილი

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა:**

**აცნობიერებს რა** არჩევნების გაყალბების გზით ქვეყნის სათავეში მოსული სააკაშვილის და მისი გუნდის ანტიეროვნული, ანტიქრისტიანული, ანტიადამიანური და კრიმინალური რეჟიმის მიერ შექმნილ ღრმა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კრიზისს, რის გამოც ქართველი ერის არსებობა და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საფრთხეშია, მათ შორის იმას, რომ ძალოვნების მხრიდან 5 წლის განმავლობაში ადგილი აქვს საქართველოს მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების სასტიკ, სისტემატურ, აღვირახსნილ, ქუჩურ და დანაშაულებრივ დარღვევებს, რამაც უახლოეს პერიოდში სამართლებრივად გამართლებული სახალხო აჯანყება შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო მთლიანად კავკასიაში – სრული ქაოსი;

**ხელმძღვანელობს რა** საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით და მეორე თავით, აგრეთვე 5, 6, 7, 9, 39 მუხლებით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილით, საქართველოში მშვიდობის, უშიშროების და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად,

**ადგენს:**

1. 2007 წლის 7 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154 და 161 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების, კერძოდ, მოშიმშილეების ხელკეტებით, მშვიდობიანი მომიტინგეების დუმ-დუმის ტიპის ტყვიების გამოყენებით და „იმედის“ თანამშრომელთა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით და ტელეაპარატურის დარბევის გამო, საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან მიხეილ სააკაშვილის გადადგომის, როგორც იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის ძალის მქონე აქტის საფუძველზე, 2008 წლის 5 იანვრის **საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს მიხეილ სააკაშვილის მიმართ იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს;**

2. სისხლის სამართლის კოდექსის 164-1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების, კერძოდ, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების ეუთოს და სახალხო დამცველის მიერ დადასტურებული მასობრივი გაყალბების გამო, **საქართველოს 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებს.**

3. საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი ვაკუუმიდან გამოყვანის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5-ის პირველი პუნქტის თანახმად, რომლის ძალით: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რომლის ძალით: „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმით“ და საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 9-ის მე-2 პუნქტის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 5-18 ნოემბერს დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რომლის ძალით: **„საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს“** (ჩვენ დავამატებდით: ისტორიულად საქართველოს მუდმივად გამაერთიანებელ საჯარო სამართლის სუბიექტს), საქართველოს მოსახლეობა გამოხატავს თავის ურყევ და სამართლიან ნებას და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს **ილია მეორეს გარდამავალ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის რანგში სახელმწიფოს მეთაურად სცნობს** (პრეცედენტი: კვიპროსის კათოლიკოს-პატრიარქი მაკარიოსი ძნელბედობის ჟამს ქვეყნის მეთაური გახდა).

4. საქართველოს პრეზიდენტის რანგში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს **ილია მეორეს სთხოვს** შექმნას დროებითი კოალიციური მთავრობა, დანიშნოს და გაერო-ეუთოს უშუალო მონაწილეობით უზრუნველყოს გაუყალბებელი, თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები, და იმოქმედოს საქართველოს კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა ბილთან სრულ შესაბამისობაში.

5. შემდეგ, ახლადარჩეულ პარლამენტს **სთხოვს** გააუქმოს ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2005 წლის 20 იანვარს დაგმობილი რეაქციული საკონსტიტუციო ცვლილებები, დაამტკიცოს მთავრობა, მოქმედი კანონმდებლობა კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს და **3** თვის თავზე დანიშნოს რეფერენდუმი პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება-არგაუქმების თაობაზე და მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო წყობილებისა და მართველობის ფორმის შესახებ. პრეზიდენტის ინსტიტუტის შენარჩუნების შემთხვევაში, არჩეულ პარლამენტს **სთხოვს** დანიშნოს და გაერო-ეუთოსთან ერთად უზრუნველყოს გაუყალბებელი, თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნები.

ჭეშმარიტი პატივისცემით

**ბიძინა სავანელი,**

**ექსპერტი ადამიანის უფლებათა განათლების დარგში (ჟენევა), ადამიანის უფლებათა ფილოსოფიური საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (ნევადა), სამართლის და საზოგადოების ევროპული ასოციაციის წევრი (პარიზი), პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.**

## თარიღი

***ზაფხულის** ერთ მშვენიერ საღამოს, კასპში, ლეხურის პირას, მწვანეში ჩაფლული ხორგუაშვილების ორსართულიანი სახლის ეზოში ვზივართ და ვსაუბრობთ. მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა და ლეხურაც გადიდგულდა, ნაპირიდან გადმოვარდნას ლამობს. ბობოქრობს კიდეც, როგორც შეუძლია. ისიც იცის, ბეტონის არტახებში რომაა გამოკრული, მაგრამ მაინც არ ნებდება ბედს.*

*პაწია თათია აინუნშიც არ აგდებს ლეხურას მუქარებს, თოჯინა გამოუტანია ეზოში, აკვანიც გაუმართავს, ეტყობა, შინ უნდა ჩააწვინოს და ახლა კამარაზე სათამაშოებს ჰკიდებს.*

# „შენით ვიწყები, შენით ვთავდები“

### ცნობილ მწერალს გიორგი ხორგუაშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა

ერთი სიამოვნებაა ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი ხორგუაშვილის კარ-მიდამოში ყოფნა. აყვავებული ეზო, ხეხილი, ხეივანი, ყვავილნარი, ღიმილიანი მასპინძლები.... ამ სახლს რომ სტუმრები ახსოვს — მხატვრული სიტყვისა და სცენის ოსტატები, საზოგადო მოღვაწეები. ხორგუაშვილების მამაპაპურ ყანწებს კარგად იცნობენ ქართველ მწერალთა დიდ საძმობროში.

უკანმოუხედავად წაიღო ლეხურამ მზიანი წლები და მოგონებების ამარაღა დაგვტოვა. აკი ვსაუბრობთ კიდეც იმაზე, „რაც იყო“. მწერლის სათნო და მუდამ მხარში მდგომი მეუღლე ქალბატონი ნათელა ოჯახის „დემოგრაფიას“ მაცნობს.

სამამულე ბიჭები დაზარდეს ხორგუაშვილებმა. გიგა ჟურნალისტია, ზურაბი ფიზიკოსი. ასპირანტურის კურსი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა. ახლა თბილისში მოღვაწეობს.

მწერლის უფროსმა შვილიშვილმა, ნათიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელების წყურვილმა გერმანიაში ჩაიყვანა. პაპის მოსახელე გიორგი ხორგუაშვილი კი ინჟინერ-პროგრამისტია. თათაზე უკვე გიამბეთ.

წიგნები, ფოტოები, დღიურები, ჟურნალ-გაზეთები, დიპლომები, ჩანაწერები... ქალბატონი ნათელა მშვენიერი მოსაუბრეა, მაგრამ წამიერად გიორგის შეავლებს თვალს და გული მოეღრუბლება: მეუღლე მთელი ამ ხნის მანძილზე მდუმარედ ზის და გვიღიმის. მძიმე ავადმყოფობამ სარმა გამოჰკრა მწერალს. ვერ წააქცია, მაგრამ წარსულის ცნობაც წაართვა და აწმყოსიც. ზის ახლა მაგიდასთან, ხელში კალამმომარჯვებული, თავისი ლექსების წიგნი „ლანდები“ უდევს წინ, წლეულს ვაჟიშვილებმა რომ გამოუცეს. ხან ყდას დასცქერის, ხან მე შემომხედავს, ბოლოს, თუმცა გაჭირვებით, თავფურცელზე ერთი სიტყვა გამოჰყავს — „გურამი“.

კვლავ შემომხედა მწერალმა და მე ვხედავ: თვალები ცრემლებით აქვს სავსე!

გმადლობ, გიორგი, ოცდაათწლიანი უღალატო მეგობრობისთვის, კაცობისთვის, სიყვარულისთვის, კახაბერი და ფარსადანი აროდეს გვერდიგვერდ რომ არ დაგიყენებია. ბევრის რთველს სჯობნის შენი ნამცვრევი.

ამ გახსენებაზე... გახსოვს, ერთხელ რკონის ხეობაში, იკვის ეკლესიის აღდგენითი სამუშაოებიდან — მთელი დღე ხარაჩოებზე მუშაობს ვეხმარებოდით — უკან, ტყისპირებს რომ მოვუყვებოდით. სალამო ხანი იყო. ნახირი შემოგვხვდა. სოფელში ბრუნდებოდა. მწყემსმა ბიჭმა, მამას რომ ახლდა, გიცნო, შემოგცინა, ზურგზე მოგდებულ აბგაში ხელი ჩაყო და იქიდან „ნამცვრევი“ ამოიღო, წლების მანძილზე შენ მიერ მოძიებული, ჩაწერილი და ახლა უკვე წიგნად აკინძული ხალხური მარგალიტები. თვალებგაბრწყინებულმა რამდენიმე ლექსი იქვე წაგვიკითხა.

მახსოვს, მითხარი:

— ჯერ მარტო ამ ბალღის სიხარულისთვის ღირდა სოფელ-სოფელ, მთებში, მწყემსების ბინაზე, ბარად კიდევ რთველში, კალოებზე, დღეობებზე მისვლა, ხალხური მთქმელების, „ლექსის მალექსებელთა“ მოძებნა და იმათთან საუბრები.



გიორგი ხორგუაშვილის სამწერლო შემოქმედებაც ხომ მკითხველების, ადამიანების სიხარულის, იმედის, ამაღლებულ გრძნობებთან ზიარების ხელოვნებაა.

უკეთესი ხდები, ვიდრე ხარ, როცა კითხულობ მის რომანებს, მოთხრობებს — „მარად ქალწული თემიდა“, „ცხრაუღელა“, „წითელი ხარი“, „ჟამი სიყვარულისა“, „თევდორე მღვდელი“... მისი ერთი მოთხრობა „ნატვრის თვალი“ შეტანილი იყო მესამე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში, „ძია შიოს უცნაურობები“ კი რუსმა მკითხველმაც გაიცნო და კასპში, მწერლის სახელზე მადლობისა და მოწონების ბარათებმაც არ დაახანა.

მწერალი მთელი ცხოვრება რაიონის კულტურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. გასული საუკუნის 70-იანი წლების რაიონის ხელმძღვანელებთან ჯ.ჯავახიშვილთან, ვ.კვალიაშვილთან და სხვებთან თანადგომით დაწესდა ან აღდგა მივიწყებული სახალხო დღესასწაულები „გოსტიბეობა“, „გმირნო, მამულის მადიდნო!“, „გურამიშვილობა“, „ჯავახიშვილობა“, გაიხსნა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (ამ დაწესებულებას გიორგი ხორგუაშვილი 40 წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა) ფილიალები: ივ.ჯავახიშვილისა — ხოვლეში, გენერალ გ. მაზნიაშვილისა — სასირეთში, გ. შატბერაშვილისა — თვალადში, ორბელიანების სასახლე-მუზეუმი — ლამისყანაში.

ამასობაში მწერალს ოთხმოცმაც მოუკაკუნა. მთელი ცხოვრება მწერლისა და მკვლევარის უპირველეს მოვალეობას წარსულის მივიწყებული სახელების სამზეოზე გამოტანაში ხედავდა. თავად კი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. იქნებ ამიტომაც იყო, რომ დაბადებიდან სამოცი, სამოცდაათი, ახლა კიდევ ოთხმოცი წელი ისე მოათავა, არც არავინ შეუწუხებია და არც არავის შეუწუხებია თავი...

ჩემი მეგობრის შესახებ საუბარს მისივე მშვენიერი სტრიქონებით დავამთავრებ:

**უგზო-უკვალი გამიგზიანე,**
**სიყვარულია ჩვენი თავდები,**
**შენით ვსულდგმულობ,**
**შენით ვმზიანობ,**
**შენით ვიწყები,**
**შენით ვთავდები!**

**გურამ ვაშაკიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

## ინფორმაცია

### ცხინვალი მოითხოვს, ეუთომ სამხრეთ ოსეთში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, იმუშაოს

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციებში ეუთოს მონაწილეობის მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებს. როგორც სააგენტო „რეს“-ი იუწყება, ამის შესახებ პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა განაცხადა.**

**მისი თქმით, ცხინვალი მოითხოვს, ეუთომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, იმუშავოს.**

**— თუ ეუთო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოფისის გახსნაზე უარს იტყვის, ჩვენ ჟენევის შეხვედრებსა და ინციდენტების პრევენციის მექანიზმში ეუთოს მონაწილეობის გადახედვის საკითხს დავაყენებთ, — აღნიშნა ჩოჩიევმა.**

### სროლები ოსეთის სათვისტომოს შენობასთან

**მოსკოვში, ოსური სათვისტომოს ოფისთან სროლისას სამი მოქალაქე დააკავეს. ამის შესახებ „ინტერფაქსი“ იუწყება.**

**ოფისთან ცეცხლი ტრავმატული იარაღიდან ღამის 3:00 საათზე რამდენიმე ახალგაზრდამ გახსნა. ისინი ოფისთან მყოფ ადამიანებს ესროდნენ. იყო საპასუხო სროლაც. შედეგად რამდენიმე ადამიანი დაზარალდა.**

**მილიციამ სროლის მონაწილე სამი პირი დააკავა. ერთი მათგანი მსუბუქი ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, შემდეგ კი გაათავისუფლეს.**

**გაათავისუფლეს დანარჩენი ორი დაკავებულიც. მათ ჩვენებების მისაცემად მილიციის არბატის რაიონულ განყოფილებაში გამოცხადება დაევალათ.**

ინტერპრესნიუსი

## უმაღლესი სკოლა

# ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

# გუშინ, დღეს, ხვალ

**ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პირველი დამოუკიდებელი და მთავარი უმაღლესი სასწავლებელია. „ზდუ“** ცნობილია არა მარტო რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. უნივერსიტეტს გავლილი აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია და ეროვნული გამოცდებით ყოველწლიურად 200-250-მდე სტუდენტს ღებულობს. უახლოეს მომავალში **„ზდუ“** ევროპული უნივერსიტეტების ოჯახში და ბოლონიის პროცესში გაერთიანებას გეგმავს. უნივერსიტეტის მიღწევებსა და მომავალ გეგმებზე **„ზდუს“** რექტორს პროფესორ **გრიგოლ ხვიტიას** ვესაუბრეთ: — „ჩვენი უნივერსიტეტი 1991 წელს დაარსდა. მან უდიდესი წვლილი შეიტანა სამეგრელოში ახალგაზრდების განათლებისა და მათი კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანა არეულია, მიმდინარეობს სამოქალაქო ომი. უნივერსიტეტის გახსნისათვის არავის არ სცხელოდა, ამიტომაც ლიცენზიის აღებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ამასთან, უნივერსიტეტს არ გააჩნდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საერთოდ ჭირდა კადრებით დაკომპლექტების საკითხი. მიუხედავად ამისა დაძლეულ იქნა ყველა წინააღმდეგობა და უნივერსიტეტმა ფუნქციონირება დაიწყო 1992 წელს. ზუგდიდი დიდხანს იყო დაუმორჩილებლობის ქალაქი. ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ აფხაზეთის კონფლიქტმა ზუგდიდი არსებითად მოწყვიტა გარე სამყაროს და იგი არსებითად ჩაკეტილი ქალაქი აღმოჩნდა. ზუგდიდისა და რეგიონის ახალგაზრდობა მოაწყდა ჩვენს უნივერსიტეტს. 1993 წელს შევიძინეთ სამი ხუთსართულიანი კორპუსი, რითაც საბოლოოდ გადავწყვიტეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა. პარალელურად ხდებოდა პროფესორ-მასწავლებელთა მომზადება ჩვენი უნივერსიტეტისათვის. ასევე ვიწვევდით ლექტორებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის უმაღლესი სასწავლებლებიდან. ამ პერიოდში საქართველოში გაიხსნა უამრავი კერძო უმაღლესი სასწავლებელი, რომელთაც არავითარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გააჩნდათ. ბუნებრივია, მათმა სიმრავლემ გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა კონტინგენტის მოზიდვის საქმეში. მარტო ზუგდიდში 9 უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებდა. სახელმწიფო ასეთ განუკითხაობას ვერ დაუშვებდა, ამიტომ აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად მომზადდა საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წელს. ახალი კანონის შესაბამისად უმაღლეს სასწავლებელს უნდა გაევლო ინსტიტუციური აკრედიტაცია. პირველად საქართველოს მასშტაბით აკრედიტაცია გაიარა 32-მა უმაღლესმა სასწავლებელმა, მათ შორის ვიყავით ჩვენც. აკრედიტაციას ჰქონდა ძალიან რთული მოთხოვნები და ამიტომაც დარჩნენ მხოლოდ ღირსეულნი. ჩვენმა უნივერსიტეტმა გაიარა სამი აკრედიტაცია სტუდენტთა კონტინგენტის გავლის მიზნით და დღეს უფლება გვაქვს „**ზდუ**-ში“ ისწავლოს 1137 სტუდენტმა. ჩვენ გველოდება რთული პროცესი პროგრამული აკრედიტაციის სახით. სამომავლო გეგმებიც ამ პროცესის შედეგზეა დამოკიდებული. ჩვენ თითქმის ყველა პირობა გვაქვს (სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკადემიური პერსონალი, კომპიუტერული კლასები. კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ა. შ.), რათა გავიაროთ პროგრამული აკრედიტაცია, რაც გრანდიოზულ პერსპექტივებს სახავს ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე.

ჩვენი მთავარი მიზანი არის, რომ გავერთიანდეთ ბოლონიის პროცესში, ვფიქრობთ, ეს მოხდება 2-3 წელიწადში. ამისთვის აუცილებელია გავიაროთ ყველა ის მოთხოვნა, რომელიც საჭიროა ამ პროცესში გაერთიანებისათვის.

უნივერსიტეტის უკეთესი მართვისთვის მოვახდინეთ ფაკულტეტების ოპტიმიზაცია. გავაერთიანეთ ისინი და სისტემა უფრო მოქნილი გავხადეთ. გვაქვს სამი ფაკულტეტი ორ-ორი სპეციალობით. ესენია: **ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი — სპეციალობით ბიზნესი და სამართალი, ჯანდაცვის ფაკულტეტი — სპეციალობებით სტომატოლოგია და ფარმაცია. ჰუმანიტარული ფაკულტეტი — სპეციალობებით ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა ლიტერატურა“** — გვითხრა ბატონმა **გრიგოლ ხვიტიამ,** რომლის დაუღალავმა შრომამ, ნიჭმა და ორგანიზაციულმა ტალანტმა **„ზდუ“** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება გახადა მთელ ქვეყანაში.

ჩვენთან საუბარში ჩაერთო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი **თამაზ ცანავა,** რომელსაც ასევე „ლომის წილი“ უდევს **ზდუს** აღმავლობაში. „რადგან უნივერსიტეტის სტატუსი გვაქვს, ამიტომ სწავლა სამსაფეხურიანია: **ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. ბაკალავრიატი და მაგისტრატურა მთლიანად დაკომპლექტებულია წინასწარ განსაზღვრული კვოტის მიხედვით. წელს მოხდა უპრეცედენტო ფაქტი სამეგრელოს რეგიონში. ჩვენ პირველი კონტინგენტი მივიღეთ დოქტორანტურაში. 10 დოქტორანტი გვყავს არა მარტო სამეგრელოდან, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან. დოქტორანტურაში სამი წელია სწავლების პროცესი და შემდეგ დისერტაციის დაცვა ხდება ჩვენსავე უნივერსიტეტში.**

ამჟამად უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული გვყავს 64 პედაგოგი, აქედან 16 სრული პროფესორი, 32 ასოცირებული პროფესორი, ხოლო დანარჩენები ასისტენტ-პროფესორები არიან. ეს შემადგენლობა სრულიად საკმარისია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის“ — ამბობს ბატონი თამაზ ცანავა.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკას“ თავის მოსაზრებას უზიარებს ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი — აკადემიკოსი **ფრიდონ თოდუა:** „ძალიან მიხარია, რომ ზუგდიდში ფუნქციონირებს ასეთი ძლიერი უნივერსიტეტი, რომელსაც ჰყავს ძალიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები და აქვს შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოგეხსენებათ, ზუგდიდში მეორე აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელიცაა — შოთა მესხიას სახელმწიფო ინსტიტუტი, მაგრამ **„ზდუ“** უფრო მაღალი დონისაა. **„ზდუ“** არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ საქართველოში გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელია“.

**„ზდუ“**-ში ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ აქ სრულფასოვანი სპეციალისტები აღიზარდონ.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აშშ არ ცვლის დამოკიდებულებას საქართველოსთან და უკრაინასთან

**ვაშინგტონი არ იტყვის უარს საქართველოს და უკრაინის მხარდაჭერაზე მათ სურვილთან დაკავშირებით, შევიდნენ ნატოში რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვის“ გამო.**

ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების მოლაპარაკებაზე, რომელიც გაიმართება მოსკოვში 6 ივლისს, მთავარი თემა გახდება ახალი ხელშეკრულება, რომელიც შეცვლის დღევანდელ შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ.



უკანასკნელი კვირების განმავლობაში რუსეთის მხარემ რამდენჯერმე საჯაროდ განაცხადა, რომ საჭიროა დავუკავშიროთ ბირთვული არსენალის შეთანხმების საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების უარს ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის დამუშავებასთან დაკავშირებით.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში მაიკლ მაკფოლმა განაცხადა, ვაშინგტონს არ აქვს განზრახული ერთი ხელის მოსმით შეცვალოს თავისი გეგმები ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტების განთავსების შესახებ, აგრეთვე თავისი პოლიტიკა ორ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან – საქართველოსთან და უკრაინასთან დაკავშირებით.

მაკფოლის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები არ იტყვის უარს „ამ ორ დემოკრატიასთან ახლო ურთიერთობაზე“. ამავე დროს, დაუმატა მან, ობამას ვიზიტის მიზანია, მიაღწიოს პროგრესს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში.

„ბევრს რუსეთში, მათ შორის პოლიტიკურ ელიტაშიც, მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მიზანია რუსეთის დასუსტება, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში კი ამერიკის პოზიციას აღიქვამენ, როგორც თამაშს ნულოვანი შედეგებიდან, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ისე, როგორც ჩვენ აღვიქვამთ სიტუაციას“, – აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა რუსეთის საკითხებში.

ადრე ობამა აცხადებდა, რომ სურს რუსეთთან „შინაარსიანი“ ურთიერთობა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, პატიოსნად განვიხილოთ ორ ქვეყანას შორის სადავო საკითხები.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მოსკოვში ვიზიტად იქნება 6-8 ივლისს.

BBC RUSSIAN.com



# შიში აგვისტოს ახალი ომის წინ კავკასიაში

**საქართველოს შესახებ მოლაპარაკების უკანასკნელი მაისის ტურის დროს, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობდა, რუსეთის დელეგაციამ დატოვა სხდომის დარბაზი და დაბრუნდა მხოლოდ მეორე დღეს.** მეექვსე ტური შეიძლება აღმოჩნდეს უფრო რთული. იმის გარდა, რომ კავკასიაში მიმდინარეობს რუსეთის სამხედრო მანევრები, საქართველოში კი დადის ხმები რუსეთის ახალი შემოჭრის შესახებ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა ფორმატისა და მიზნების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ.

„რუსეთის არგუმენტია: ეუთოს მისიის მუშაობის შეწყვეტამ საქართველოში აფხაზეთის გამო კავკასიაში შექმნა ახალი რეალობა. ამავე დროს საქართველოს არმიისა და პოლიციის გადააადგილების გამო იძაბება მდგომარეობა საზღვრებზე. „დასავლელი პარტნიორები და საქართველო ყველაფერს აკეთებენ საერთაშორისო მეთვალყურეობის მუშაობის შესაწყვეტად ამ არამშვიდ რეგიონში“, – ამტკიცებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

„რთული პირობები“, რომელშიც, რუსეთის აზრით, მოუწევს მუშაობა ჟენევის მოლაპარაკებას, წარმოშობს ხმებს საქართველოში ახალი ომის შესახებ, რომელიც შეიძლება დაიწყოს ამ ზაფხულს. პაველ ფელგენგაუერი, რუსი სამხედრო ექსპერტი, რომელმაც იწინასწარმეტყველა შარშანდელი ომი, აი, უკვე რამდენიმე თვეა იმეორებს იგივეს მეორე ომის შესახებ.

მაგრამ საქართველოში ევროკავშირის ქვეყნების დიპლომატები სიმშვიდეს ინარჩუნებენ. „რუსეთს შეუძლია გააკეთოს, რაც უნდა, – განაცხადა ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიაში. – მაგრამ რას მიაღწევენ ისინი?“ საქართველოში ახალი ინტერვენციის პოლიტიკური ფასი აღმოჩნდება ძალიან მაღალი, დარწმუნებულია იგი, და რუსეთი უფრო მეტს წააგებს, ვიდრე მოიგებს.

**მარკუს ბერნატი**

DER STANDARD

# სამხრეთი ოსეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს წაეკიდა

**სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კონფლიქტის შემდგომი მოწესრიგების საკითხებში ბორის ჩოჩიევმა ბრალი დასდო ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს მომზადებაში ახალი ომისთვის.** როგორც საქართველოს ტელეარხი „იმედი“ იუწყება, შესაბამისი განცხადება მან გააკეთა ჟურნალისტებთან საუბარში, სადაც მიმდინარეობს კონსულტაციების მეექვსე რაუნდი კავკასიაში უშიშროებასთან დაკავშირებით.

მისი სიტყვებით, „საქართველო ემზადება ომისთვის, უფრო სწორად, საქართველოს ომისთვის ამზადებს ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ეს მან გააკეთა შარშან აგვისტოში“. მან აგრეთვე მიუთითა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მეთიუ ბრაიზას სიტყვებზე, რომელმაც, ჩოჩიევის ვერსიით, განაცხადა, რომ ამერიკა აიარაღებს საქართველოს, რათა მას ჰყავდეს „კულტურული და მობილური არმია“.



ამ „კულტურულმა არმიამ“, განაცხადა ჩოჩიევმა, „გრადებით“ დაბომბა მძინარე ცხინვალი“. ედუარდ კოკოითის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ცინიკური უწოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოში არიან ისეთები, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ომი ქართველებს არ დაუწყიათ.

როგორც „იმედი“ აღნიშნავს, ბრაიზას პასუხი გაისმა რამდენიმე წუთის შემდეგ. ამერიკელმა ჩინოვნიკმა განაცხადა, რომ ჩოჩიევს აქვს პრობლემები – იგი „ცუდად უსმენს“. ბრაიზამ განმარტა, რომ თქვა მხოლოდ ის, რომ საქართველოს სჭირდება არმია, რომელმაც იცის თავისი საქმე და შეუძლია დაიცვას თავისი ქვეყანა და მისი უშიშროება. მან ჩოჩიევს უწოდა „არაკონსტრუქციული პიროვნება“.

„ჩოჩიევი – მეტად არაკონსტრუქციული პიროვნებაა. ის ნაწყენია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ აღიარა სამხრეთი ოსეთი“, – განაცხადა ბრაიზამ. მან გამოთქვა იმედი, რომ „ჩოჩიევი გახდება უფრო უკეთესი დიპლომატი, ვიდრე იგი ამჟამადაა“.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის კონსულტაციები უშიშროების საკითხებში დაიწყო შარშან ოქტომბერში აგვისტოს ომის შემდეგ. მისი პირველი რაუნდი გაიმართა 15 ოქტომბერს. ამჟამინდელ კონსულტაციებში საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დევნილი მთავრობების წარმომადგენლების გარდა მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატების, გაეროს, ეუთოსა და ევროკავშირის დელეგაციებიც.

აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ საქართველოს დელეგაციამ და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კმაყოფილება გამოთქვეს დისკუსიის მეექვსე რაუნდის შედეგებთან დაკავშირებით, თუმცა არავითარ კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე არ იტყობინებიან. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის სიტყვებით, მოლაპარაკების შემდგომი რაუნდი გაიმართება 17 სექტემბერს.

ინფორმაციონნოე აგენტსტვო РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**აშშ საზღვაო ქვეითმა ჯარებმა დაიწყეს ოპერაცია ავღანეთის სამხრეთით – ყველაზე მასშტაბური ოპერაცია ვიეტნამის ომის შემდეგ**

სამხედრო ოპერაცია „ხმლის დარტყმა“ ავღანეთის პროვინცია გილმენდში მიზნად ისახავს ვითარების სტაბილიზაციას პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეებში. პენტაგონის მონაცემებით, ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებენ თითქმის 4 ათასი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, აგრეთვე დაახლოებით 650 ავღანელი ჯარისკაცი და პოლიციელი.

* * *

**ექსპერტები გვიამბობენ, თუ როგორ გადარჩა 12 წლის გოგონა A-310 ავიაკატასტროფაში**

სპეციალისტის აზრით, გოგონას შეეძლო გადარჩენილიყო მხოლოდ ასეთ შემთხვევაში: წყალში ჩაშვების დროს არ ყოფილა დიდი დარტყმა და თვითმფრინავის წყალთან შეხება იყო ნელი, თუმცა ფუზელაჟი დაიმსხვრა. ექსპერტების ვერსიით, გოგონა, როგორც ჩანს, სავარძელში იჯდა იმ ადგილის გვერდით, სადაც მოხდა მსხვრევა და იგი უბრალოდ გადავარდა ოკეანეში. თავად გოგონას კატასტროფა ახსოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტ.




* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა შორი მოქმედების რაკეტის დახმარებით არ „მიულოცავს“ აშშ-ს დამოუკიდებლობის დღეს**

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ გააჩნია მონაცემები იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთი კორეა ემზადება შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტის სტარტისთვის. 2006 წელს რაკეტის გაშვება მოხდა სწორედ დღესასწაულის დღეს, 4 ივლისს. ამჯერად შეიძლება გაუშვან საშუალო და ახლო მოქმედების რადიუსის რაკეტები, მაგრამ ისინი ჰავაიამდე ვერ მიაღწევენ.

* * *

**ეგრეთ წოდებული ღორის გრიპის წინააღმდეგ ვაქცინა წარმატებით გამოსცადეს ცხოველებზე, ელოდებიან ტესტებს ადამიანებზე**

გამოცდების პირველი ეტაპია ტოქსიკურობაზე და მასში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ 40-დან 50-მდე მოხალისემ. თუ შემოწმების სამივე ეტაპი წარმატებული იქნება, მაშინ, პრეპარატის დამმუშავებლის პროფესორ კანის სიტყვებით, ვაქცინა ხელმისაწვდომი იქნება გამოყენებისთვის უახლოესი ათი წლის განმავლობაში.

* * *

**სახელმწიფო მდივანი კლინტონი არ მიდის ობამასთან ერთად მოსკოვში ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი დასახელებული არ არის.**



აღინიშნება მხოლოდ, რომ ამერიკის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი განსაზღვრავს პიროვნებას, რომელიც წავა მოსკოვში მის ნაცვლად. ამ ცოტა ხნის წინათ ჰილარი კლინტონმა დაიზიანა მარჯვენა ხელის იდაყვი და ამასთან დაკავშირებით გადაიტანა ოპერაცია.

№ 134. პარასკევი, 3 ივლისი, 2009 წელი.

პირდაპირი სიტყვა

# ერთიანნი და განუყოფელნი



*ჩვენს წარსულზე წითელი და თეთრი შეხედულების შერიგების შესაძლებლობის შესახებ გვესაუბრებიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იური ჟუკოვი და უმაღლესი მონარქისტული საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ჭავჭავაძე*



**– ბატონო ზურაბ, თქვენ ბრძანდებით ძველი თავადების წარმომადგენელი, დაიბადეთ პარიზში, 1949 წელს მშობლებთან ერთად დაბრუნდით სსრ კავშირში. ბევრი რამ გადახდა თქვენს ოჯახს, როგორც ბევრ სხვასაც: რეპრესიები, გადასახლებები... გაბრაზებული ხართ საბჭოთა ხელისუფლებაზე?**

**ზურაბ ჭავჭავაძე:** ძალიან არა ვარ გაბრაზებული, მე გავინაწილე საკუთარი ხალხის ხვედრი. მამაჩემი, რომელიც 1921 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა, მეუბნებოდა ხოლმე, რომ ერთგვარად ეუხერხულებოდა ქუჩებში სიარული – რუსეთში რეპრესიებია, ის კი უსაფრთხოდაა. მას შემდეგ, რაც დავბრუნდით, იგი მოხვდა ამ მოლოხში და გულაგშიც აღმოჩნდა „ხალხის მტრის“ სახით. მას მიაწერეს ხუთი ქვეყნისთვის სამსახური, იმ ქვეყნებისთვის, რომელთა საზღვრებიც მან გადმოკვეთა. ბულგარეთის საზღვარზე 20 წუთის ყოფნაც კი ჩაუთვალეს. გამომძიებელმა იუმორით უთხრა: „გამიგე, 20 წუთზე მეტი ჩვენ არც გვჭირდება, რომ კაცი გადმოვიბიროთ“. ხოლო როცა 1956 წელს მოხდა მისი რეაბილიტაცია, ის ამბობდა: „მე ბავშვების მომავალი მაფიქრებს. მაგრამ ახლა შემიძლია ვიყო კმაყოფილი, ვინაიდან ვიყავი ჩემს ხალხთან ერთად იმ ტრაგედიაში, რომელიც მან გადაიტანა“.

**– ბატონო იური, თქვენ არ ყოფილხართ ემიგრაციაში. თუმცა თქვენც გვაროვნული აზნაურების წარმომადგენელი ბრძანდებით. თანაც თქვენ ხართ კომუნისტი და თქვენი პარტიული ბილეთი არ დაგიწვავთ. თქვენ და ბატონ ზურაბს სხვადასხვაგვარი ბედი გერგოთ, მაგრამ თქვენს შეფასებებში , თუ რა ხდება რუსეთში დღეს, ბევრი რამ არის საერთო...**

**იური ჟუკოვი:** უფრო საშინელი ხანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არ ყოფილა თათარ-მონღოლთა უღლის დროიდან. ერთიანი ეკონომიკის, ერთიანი საერთო კულტურისა და ისტორიის ქვეყანა დღეს დაქუცმაცებულია. ეკონომიკაში არაფერი არ მოქმედებს, იგი იშლება. ბანკების გამოკლებით. მაგრამ ბანკები, როგორც ცნობილია, უბრალოდ, ვაჭრობენ ფულით, თუმცა არაფერს ქმნიან რეალურს.

**ზ.ჭ.** მე ეგრე კატასტროფულად არ ვაზროვნებ. ჩვენს სიტუაციას თათარ-მონღოლთა უღელს ვერ შევადარებდი. მაგრამ ის, რაც თავს გადაგვხდა 90-იან წლებში, მართლაც გვაგონებდა ამ ტრაგედიას. მაგრამ 2000-იანმა წლებმა გვიჩვენეს, რომ რუსეთში უკვე ბევრი რამ იცვლება. და ამ დინამიკას მე ვგრძნობ. და როგორც მოქალაქე, პოზიტიურად ვაფასებ.

**– რუსეთისა და საბჭოთა ისტორიიდან როგორი იდეალები, როგორი გმირები სჭირდებიან დღეს ჩვენს საზოგადოებას? თუ არის ჩვენს წარსულში საყრდენები, რომლებიც დაეხმარებოდნენ ქვეყანას სწორ განვითარებაში?**

**ი.ჟ.** უწინარეს ყოვლისა უნდა შევწყვიტოთ წარსულის ჩართვა დღევანდელ პოლიტიკურ თამაშებსა და ინტრიგებში. წარსულის შეცვლა შეუძლებელია, ის, უბრალოდ, უნდა იცოდე. უნდა ვიცხოვროთ დღევანდელი დღით და მომავალზე ფიქრით, იმაზე ფიქრით, თუ როგორ გადავარჩინოთ ქვეყანა. ცნობილია 29-35-იანი წლების მსოფლიო კრიზისიდან გამოსვლის ჩვენი ქვეყნის გამოცდილება. როგორ დავაღწიეთ მას თავი? ვქმნიდით მრეწველობას, სამუშაო ადგილებს. და შედეგად მოვიგეთ. ქუჩაში ვაჭრობით არასოდეს არაფერი კარგი არ გამოვა.

**– მაგრამ როგორი ფასი ჰქონდა? უმალვე შეგეკითხებიან გულაგისა და რეპრესიების შესახებ...**

**ი.ჟ.** როგორია ქვეყნის არსებობის, ერის არსებობის ფასი? როდესაც ჩვენი წინაპრები სამშობლოსთვის ებრძოდნენ ურდოს, პოლონელებს, შვედებს, ფრანგებს, ინგლისელებს, ორჯერ გერმანელებს, მაშინ ვინ ანგარიშობდა გამარჯვების ფასს? გამარჯვების ფასი – ეს ჩვენი ცხოვრებაა. თუ არ გადავიხდით – აღარ ვიქნებით საერთოდ.

**ზ.ჭ** როდესაც ისტორიული მომენტი მკაცრად მოითხოვს მსხვერპლს, რასაკვირველია, უნდა გაიღო ეს მსხვერპლი. რა მწარედ და საშინლადაც არ უნდა ჟღერდეს ეს. რუსმა ხალხმა არაერთგზის დაადასტურა, რომ საშინელი განსაცდელების ჟამს ის მზად იყო მსხვერპლისთვის. მაგრამ! ნუთუ ასე უნდა იყოს ყოველთვის? დღესაც, ხვალაც? საკითხი შეიძლება და უნდა დაისვას კიდეც სხვაგვარად. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ სამშობლოს განმტკიცება არა მხოლოდ დაგვიცავს საფრთხისგან, არამედ უზრუნველყოფს ნორმალურ ადამიანურ ყოფას. ამისთვის კი უნდა განვავითაროთ ეკონომიკა, განვამტკიცოთ თავდაცვა, გავამდიდროთ სულიერი ცხოვრება. არა მსხვერპლისთვის, არამედ სიცოცხლისთვის.

**ი.ჟ.** ჩვენ ერთსა და იმავეზე ვლაპარაკობთ. დღეს უნდა გვქონდეს არა საბჭოთა პერიოდის ყავლგასული რაკეტები და ტანკები, არამედ თანამედროვე შეიარაღება, რაც ბევრს დააკარგვინებს იმის სურვილს, რომ გვემუქრებოდნენ მუშტებით. მაგრამ ამისთვის უნდა გვქონდეს მეორე ინდუსტრია. პირველის შედეგები ჩვენ დავკარგეთ, არ მეშინია ამ სიტყვისა, გორბაჩოვისა და ელცინის გამყიდველობის გამო...

**ზ.ჭ** ელცინმა ჩვენს ისტორიაში მართლაც შეასრულა კატასტროფული როლი. გორბაჩოვმა კი, ეჭვსგარეშეა, მოამზადა ნიადაგი მის მოსასვლელად. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ელცინს პრეზიდენტად ირჩევდა არა პოლიტბიურო, არა პარტიული ზედა წრეები, არამედ – ხალხი. იმისთვის, რომ ხალხმა არ დაუშვას ტრაგიკული შეცდომები, საჭიროა მისი აღზრდა ჯანსაღი პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ამიტომ არ უნდა უგულებელვყოთ და დავივიწყოთ ისტორიის გაკვეთილები...

**ი.ჟ.** მაგრამ არც უსასრულო პოლიტიკური ბატალიები და ანგარიშსწორებანი უნდა გავმართოთ ისტორიულ ველზე. ახლა სხვანაირია, სხვაგვარია ცხოვრება.

**– მაშ, როგორ უნდა მოვეპყრათ დღეს ისტორიას? ვინ არის ჩვენი გმირი – ლენინი თუ ნიკოლოზ II? კოლჩაკი თუ ტუხაჩევსკი? ანდა იქნებ არ არის საჭირო ამ კითხვებზე პასუხების ძიება იმიტომ, რომ მათ უკანაა სამოქალაქო ომი იდეოლოგიაში, რომელიც უკვე დროა, რომ დავამთავროთ?**

**ზ.ჭ** გეთანხმებით, რომ არ არის საჭირო დღეს იმ საკითხებით გატაცება, რომლებზეც არაა ერთიანი შეხედულება. არ არის საჭირო ხალხის აფორიაქება ამ საკითხებით. ერმა უნდა მოახდინოს კონსოლიდირება და არა გათიშვა. 1917 წლის შემდეგ ჩვენ უკვე გადავიტანეთ ხალხის ატომიზაციის პროცესი ინტერნაციონალიზმის ლოზუნგებით. მე ქართული წარმომავლობის რუსი ვარ, ვიცი, რა ხდებოდა ადგილებზე. იქ ხალხი ერთიანდებოდა ეროვნულობის ნიშნით, რუსეთში კი ამ დროს ხდებოდა უკუპროცესი – ყოველივე ეროვნულს ივიწყებდნენ და ანადგურებდნენ.

**ი.ჟ.** ეს პროცესები დაიწყო ჯერ კიდევ 1916 წელს. ჩვენში რატომღაც ურევენ ერთმანეთში ბევრი მოვლენის თარიღებს. მაგალითად, ყველას ჰგონია, რომ ქვედანაყოფები ბოლშევიკებმა გამოიგონეს. სინამდვილეში კი ეს ქნა დროებითმა მთავრობამ, როდესაც პეტროგრადში დაიწყო შიმშილი. უფრო ადრე მეფის ხელისუფლება უუნარო გამოდგა იმის გაგების თვალსაზრისით, რომ არ შეიძლება ყვედანაყოფების შექმნა ეროვნული ნიშნის მიხედვით – ყველა ეს ლატვიელი მსროლელებიო და ა.შ. რისთვის სჭირდებოდა კორნილოვს 1917 წლის ზაფხულში არმიის დანგრევა, როდესაც დაყო იგი რუსულ და უკრაინულ დივიზიებად, კორპუსებად, ფრონტებად?

**ზ.ჭ** სულაც არ ვაიდეალებ დროებით მთავრობას და იმასაც, თუ რას აკეთებდა იგი. ყველა ჩვენი კატაკლიზმის მიზეზები უნდა ვეძიოთ XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთმა დაკარგა თავისი სულიერება. ამის შესახებ წერდნენ სლავიანოფილები, გვაფრთხილებდნენ მამა იოანე კრონშტადტელი, დოსტოევსკი... პირველი ზარი კი დეკაბრისტებს ეკუთვნოდათ.

**ი.ჟ.** ჩემი წინაპარი დეკაბრისტი იყო.

**ზ.ჭ** ჩემი ნათესავიც – თვით ტრუბეცკოის პირდაპირი მემკვიდრეა... მაგრამ რა იდეებს ემსახურებოდა მათი აჯანყება? საიდან იღებდნენ დეკაბრისტები თავიანთ იდეებს? განა მარქსიზმი ტამბოვის გუბერნიაში იშვა? ეს ყველაფერი უცხო მოვლენაა, რომელიც თავს მოახვიეს რუსეთს. მწერალი ვლადიმერ სოლოუხინი, ჩემი დიდი მეგობარი, ამბობდა, რომ ხალხი და მოსახლეობა – სხვადასხვა ცნებაა. მოსახლეობა – ესაა იგივე ხალხი, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ რომელსაც დაუსუსტდა მაცემენტებელი, მაკონსოლიდებელი სამაგრები. XX საუკუნის მეორე ათწლეულიდან ჩვენ, რუსები, ვცხოვრობთ დასუსტებულ ამორფულ მდგომარეობაში. მაშინ, როდესაც დანარჩენი ერები, იმპერიაში რომ ცხოვრობდნენ, პირიქით, მჭიდროვდებოდნენ. ლევ ნიკოლოზის ძე გუმილოვი, რომელმაც ბევრი წელი გაატარა ბანაკში, ამბობდა: „აი, ვზივარ დიდ ბარაკში ან კამერაში. ყველა როგორღაც შეკუჭულია, და აი, ვიღაცა ახალი შემოჰყავთ. იკეტება გასაღები, უმალვე შეკითხვა: ვინა ხარ? და თუ ახალი კაცი უპასუხებს, მაგალითად, რომ ქიბროწაშვილია, უმალვე ჩნდება ქართველების რაღაც ჯგუფი,რომლებიც საშინელ სიმჭიდროვეში, მაგრამ მაინც მიიწ-მოიწევიან და ახალ მოსულს ლებულობენ თავიანთ ჯგუფში, რომ უფრო შორს იყოს პარაშასაგან (ციხის კამერის სახმარისი ქოთანი – მთ.ძ. ივანოვი შემოჰყავთ... და არაფერი. არავინ მას მხარს არ დაუჭერს“. გეკითხებით, რატომ? რა, რუსი კაცისთვის არ არის დამახასიათებელი ძმათსიყვარული?

**ი.ჟ.** აქ ძმათსიყვარულის არარსებობაზე არაა საუბარი. რუსი ხალხისთვის,როგორც ქვეყნის ჩამომყალიბებელი ხალხისთვის, უცხოა აი ასეთი გამოყოფა თავისიანებისა. რუსები უკვე გაერთიანდნენ, მათ შექმნეს თავიანთი დიდი ქვეყანა, მათ აჩვენეს თავიანთი ძალა. პატარა ხალხები კი იკრიბებიან, რომ, უბრალოდ, გადარჩნენ, შეინარჩუნონ თავი. აქედან იღებს სათავეს სწრაფვა ერთი – მეორისკენ – რომ გადაარჩინონ თავისიანები დაღუპვისგან.

**ზ.ჭ** რატომ რუსებს არ ეშინიათ დაღუპვისა? არ ფიქრობენ იმაზე, რომ უბრალოდ გაქრნენ? რა ხდება დღეს ჩვენთან დემოგრაფიასთან დაკავშირებით? კატასტროფული კრიზისია! ჩვენ ყველას, მათ შორის სხვადასხვაგვარად მოაზროვნეებსაც გვჭირდება გაერთიანება.

**ი.ჟ.** და ქვეყნის გადარჩენა.

**ზ.ჭ** მართლაც, უნდა განვავითაროთ ეკონომიკა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიფიქროთ ადამიანებზე, მის ზნეობრივ და სულიერ მდგომარეობაზე. როგორ აღვზარდოთ ქვეყნის მოქალაქე?

**ი.ჟ.** აი, შრომაში კი, შემოქმედებითსა და მასშტაბურ შრომაში აღიზრდება იგი. გაიხსენეთ, როგორი ენთუზიაზმი იყო პირველ, მეორე ხუთწლედებში! დიახ, არ გვყოფნიდა სარჩო, საცხოვრებელი, მაგრამ ხალხი ხედავდა – ისინი ქმნიდნენ. ისინი მონაწილეობდნენ დიდ გარდაქმნებში ქვეყნის საკეთილდღეოდ და არა ვიღაც ოლიგარქისთვის, რომელიც კანარის კუნძულებზე ცხოვრობს. და ეს ზრდიდა და აწრთობდა პატრიოტიზმის გრძნობას.

**ზ.ჭ** ვგრძნობ, რომ თქვენ ნამდვილად მორწმუნე ბრძანდებით. იმიტომ, რომ სულ ეძებთ გზას სრულყოფისკენ წამების გავლით.

**ი.ჟ.** არაფერიც. შემოქმედებითი შრომა წამება როდია, ეს ადამიანის მოვალეობაა. ვაჭრობა კი არა, გამორჩენა კი არა, არამედ შრომა – ნამდვილი, ღრმად შინაარსიანი შრომა ამაღლებს ადამიანებს.

**ზ.ჭ** გეთანხმებით. მაგრამ საჭიროა პრობლემებიც იმისთვის, რომ მტკიცდებოდეს ეროვნული სულისკვეთება და აღიზრდებოდეს იგი ახალ თაობაში. უამისოდ ვერსად წავალთ.

**– დავუბრუნდეთ წითლებისა და თეთრების თემას, იმას, თუ რა გააერთიანებს მათ. არის დამოწმება, რომ მონარქისტებმა პირველებმა დაუჭირეს მხარი ლენინს და ტროცკის იმიტომ, რომ სამოქალაქო ომის შედეგად მათ შეძლეს რუსეთის გაერთიანება. სამამულო ომის დროს კი მათ მხარი დაუჭირეს სტალინს...**

**ი.ჟ.** შემიძლია შეგახსენოთ, თუ რას წერდა ცნობილი ლიბერალი პაველ ნიკოლოზის ძე მილიუკოვი პარიზში გამომავალ თავის გაზეთში „პოსლედნიე ნოვოსტი“ 1941 წლის 23 ივნისს: **„ყველა ჩვენგანი, ვინც სამოქალაქო ომში იბრძოდა თეთრი დროშის ქვეშ, უნდა დავდგეთ საბჭოთა კავშირისა და სტალინის დასაცავად. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, ჩვენ გავწირავთ ჩვენს იდეალებს, რისთვისაც ვიბრძოდით სამოქალაქო ომში“. თეთრები იბრძოდნენ ლოზუნგით – „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“.** რატომ? იმიტომ, რომ ამ დროისთვის ნაციონალისტებმაც, სეპარატისტებმაც, ესერებმაც, კადეტელებმაც საკმაოდ შეუწყვეს ხელი ქვეყნის დაშლას. მისი აღდგენისთვის კი ბევრი რამ გააკეთა სწორედ სტალინმა. კვლავ შეგახსენებთ, რომ 1917 წლის მარტში გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე სტალინმა დაბეჭდა ორი სტატია ფედერალიზმის წინააღმდეგ. ის ამბობდა: **„არ შეიძლება ქვეყნის დაყოფა ეროვნულობის ნიშნით. ადრე თუ გვიან იგი დაიღუპება“. ტროცკი წერდა: „ჩვენ ხელებს ვუგრეხდით სტალინს, რომ აღგვედგინა ქვეყანა კავშირის, ესე იგი კონფედერაციის ფორმით“. და სტალინს მაშინ, 1917 წლის მაისში მხარი დაუჭირა მხოლოდ მილიუკოვმა. 1991 წელმა კი ნათლად აჩვენა, თუ ვინ იყო მართალი.**

**ზ.ჭ** მონარქისტებმა მაინც არ დაუჭირეს მხარი ლენინსა და ტროცკის. მაგრამ რუსი ადამიანები, რომლებიც ემიგრაციაში ცხოვრობდნენ, აფასებდნენ ქვეყნის იმპერიულ საწყისებს. და ისინი, რასაკვირველია, სათანადოდ აფასებდნენ ხელისუფლებას, რომელმაც შეძლო შეენარჩუნებინა ქვეყნის მთლიანობა. ჩემი პაპა, მისი უდიდებულესობის ულანი, გვარდიის ოფიცერი, პოლკოვნიკი, თეთრების მოძრაობის მონაწილე მოუწოდებდა ყველას – ებრძოლათ ჰიტლერის წინააღმდეგ. ჩვენ პარიზში გესტაპოდან 100 მეტრზე ვცხოვრობდით. ბიძაჩემი უსმენდა ცნობებს ფრონტიდან დეტექტიური მიმღებით – თუმცა გერმანელები კრძალავდნენ მათ ქონას. და მან ღამით გაიგო სტალინგრადთან გამარჯვების შესახებ, წითლად შეღება ზეწარი და გამოჰკიდა აივანზე. და სუფთა სინდისით დაწვა დასაძინებლად. ყველა გესტაპოელი კი ჩვენი ქუჩით მიდიოდა სამსახურში. განთიადისას ჩემს ძმისწულს, რომელიც ჩვენთან მოდიოდა, რომ არ დაენახა წითელი დროშა და არ დაემალა იგი, დღეს მე არ მექნებოდა ბედნიერება, მემუსაიფა თქვენთან.

სხვათა შორის, შემდეგ ბიძაჩემს გამოუძახეს ულანების შეკრებაზე, სადაც უსაყვედურეს წითელი დროშის გამო. ის კი ამბობდა, რომ წითელი ფერი უკვე დიდი ხანია აღარაა არც რევოლუციის, არც კომუნიზმის სიმბოლო. იგი იმ სისხლის სიმბოლოა, რომელსაც ჩვენი ძმები ღვრიან სამშობლოს გადასარჩენადო.

**– სამწუხაროდ – და ესაა ჩვენი ქვეყნის ტრაგედია – ვერც თეთრები XX საუკუნის დასაწყისში, ვერც წითლები მის ბოლოს ვერ აღმოჩნდნენ იმ ტრაგიკული მდგომარეობის სიმაღლეზე, რომელშიც აღმოჩნდა ქვეყანა. მიუხედავად ამისა, რუსეთის მომავალი დღესაც ამ ორ ფრთაზეა დამოკიდებული. გამონახავენ ისინი მაინც საერთო ენას?**

**ი.ჟ.** ვიმეორებ: უნდა შევწყვიტოთ ჩვენი თავის დაყოფა წითლებად და თეთრებად, ხალხის განუწყვეტელი შეშფოთება და მისი დაყოფა ორ ნაწილად. ჩემი აზრით, ეს კეთდება შეგნებულად, რათა ხალხმა ვერ შეძლოს კონსოლიდირება. აიღეთ დიდი ბრიტანეთი. იქ ზეიმობენ ჰენრიხ VIII-ის ტახტზე ასვლის 500 წლისთავს. ამ მეფემ დახოცა ათეული ათასობით ხალხი, მაგრამ დღეს მას ამაში ბრალს არ სდებენ. სამაგიეროდ ამბობენ: **„იგია ნამდვილი ახალი ინგლისის შემქმნელი“.** ვინ ებრძვის ერთმანეთს საფრანგეთში – ბურბონების მონარქიის მომხრეები, ნაპოლეონის დიქტატორები, რესპუბლიკელები? არა, მათ უკვე დიდი ხანია აქვთ რესპუბლიკა, მაგრამ ჰიმნი – რევოლუციური „მარსელიოზაა“, დროშა კი – ნაპოლეონის. ჩვენც უნდა შევწყვიტოთ ჩხუბი და დავიწყოთ ხელებდაკაპიწებული შრომა ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

**ზ.ჭ** სავსებით ვეთანხმები მაგ პოზიციას. აიღეთ ესპანეთი. რა ხდებოდა იქ? კაცი კაცს არ ცნობდა, სამოქალაქო ომი, ხალხი გაყოფილია, ფრანკოს დიქტატურა... მაგრამ ახლა ერი შერიგდა. არც ჩვენ გვაწყენდა... მეტად მნიშვნელოვანია, რომ დონის მონასტრის სასაფლაოზე ერთად განისვენებენ თეთრი გენერლები და წითელი მეთაურები. ვფიქრობ, იქ უნდა დავდგათ რუსული სამლოცველო, რომ ხალხმა მოიხსენიოს ერთნიც და მეორენიც. უნდა მივბაძოთ მაგალითს, რომელიც შემოგვთავაზა ეკლესიამ, როდესაც, როგორც იქნა, გააერთიანა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ორი შტო. ბოლოს და ბოლოს, უნდა მოხდეს ხალხის სულიერი შერიგება.

**საუბარს უძღვებოდა**
**ალექსანდრ კონდრაშოვი**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА
№ 26.

ზაზა დარასელის მემორიალი

# მეორე არხის მეცხრე ზეობა

**„ირაოს“ სასპორტო კომპლექსში შვიდ დღეს გრძელდებოდა ზაზა დარასელის მე-9 მემორიალი მინიფეხბურთში. საასპარეზოდ ტელეკომპანიებისა და პრესის წარმომადგენელთა 12-მა გუნდმა მოიყარა თავი. ორგანიზატორებმა ისინი ოთხ ჯგუფად დაყვეს. წინასწარი წრიული შეხვედრების შემდეგ ორ-ორი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გავიდა.**



ნახევარფინალში მთავარი პრიზის რვაგზის მფლობელმა მე-2 არხის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში 3:1 მოუგო „რუსთავი-2“-ის ფეხბურთელებს, ხოლო „ჯორჯია თუდეიმ“ 4:2 აჯობა „ერთსულოვნებას“ (საპატრიარქოს ტელევიზიას). ფინალში სწორედ გამარჯვებულები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ანგარიში „ჯორჯია თუდეის“ ფეხბურთელებმა გახსნეს. მეორეარხელებმა (არსენა მაზანაშვილი, დავით კაციტაძე, ალიკა ათანელიშვილი, გიორგი იაკობიძე, დავით კანდელაკი, ლაშა გვარუციძე, გიორგი კიკალეიშვილი, როინ კოპაძე, ზურაბ ზიბზიბაძე, კობა კოჩაძე) შესვენებამდე საპასუხოდ სამი გოლი გაიტანეს. მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა. საბოლოოდ მეორე არხის გუნდმა 3:1 გაიმარჯვა და თასი მეცხრედ დაიმსახურა. მესამე ადგილი „ერთსულოვნებას“ ხვდა, რომელმაც „რუსთავი-2“-ს სძლია 5:3. პირველ-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები, შესაბამისად, 1500, 1000, 750 და 500 ლარით დაჯილდოვდნენ. საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა ზაალ გაგნიძეს („ერთსულოვნება“), მცველისა — ალიკა ათანელიშვილს (II არხი), თავდამსხმელისა — მიხეილ ხუციშვილს („ჯორჯია თუდეი“), ხოლო ფეხბურთელისა — დავით კაციტაძეს (II არხი).



ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გოჩა ხუნდაძემ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გვითხრა, რომ გაისად მე-10 საიუბილეო გათამაშება უფრო გრანდიოზული იქნება. არ არის გამორიცხული, სათამაშოდ მეზობელი ქვეყნის ჟურნალისტებიც მოიწვიონ.

**ლექსო ცინცაძე**



სურათებზე: ფინალური თამაშის მომენტი; ზაზა დარასელის ქალიშვილი ქალბატონი ნინო მთავარი პრიზით აჯილდოებს გამარჯვებულთა კაპიტანს კობა კოჩაძეს; თასის ცხრაგზის მფლობელი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

**რედაქციისგან: როცა გამარჯვებულის ვინაობა წინასწარაა ცნობილი, დაგვეთანხმებით, იმ ტურნირის მიმართ ინტერესი, გნებავთ ინტრიგა იკარგება. ბარემ ადგნენ და წინასწარ გადასცენ მთავარი პრიზი მეორე არხის გუნდსო — არაერთხელ გვსმენია განვლილი ცხრა წლის განმავლობაში.**

**ალბათ, აქვს არსებობის უფლება ასეთ მოსაზრებას. როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, ძალიან გვტკივა გული, მით უფრო იმიტომ, რომ ასეთი ფაქტის წინააღმდეგ, დარწმუნებულნი ვართ, თვით ისეთი უკომპრომისო პიროვნება გაილაშქრებდა, როგორიც ბატონი ზაზა დარასელი ბრძანდებოდა.**

**როგორც ზემოთ შეიტყვეთ, გაისად ზაზა დარასელის მემორიალი, ალბათ, საერთაშორისო სტატუსს შეიძენს. ვიმედოვნებთ, მაშინ მაინც დაიმსხვრევა მანკიერი ტრადიცია.**

რეიტინგი




## ყველა მოწინავე სათვალავი

**კონფედერაციათა თასის გათამაშების ამასწინანდელმა გამარჯვებულმა ბრაზილიამ დაიბრუნა წამყვანი პოზიცია ფიფას ყოველთვიურ რეიტინგში.**

ევროპის ჩემპიონს — ესპანეთს საკმაოდ ძვირად დაუჯდა განვლილი ფორუმის ნახევარფინალში ამერიკელებთან დამარცხება — ვისენტე ველ ბოსკეს გუნდი მეორე ადგილამდე დაქვეითდა.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, მას მისალოცად აქვს საქმე — იგი ერთი საფეხურით დაწინაურდა და სადღეისოდ 104-ე ადგილზე იმყოფება.

**უძლიერესთა ათეული:** ბრაზილია — 1672 ქულა, ესპანეთი — 1590, ჰოლანდია — 1379, იტალია — 1229, გერმანია — 1207, რუსეთი — 1161, ინგლისი — 1160, არგენტინა — 1091, საფრანგეთი — 1082, ხორვატეთი — 1031 ქულა.

ჩოგბურთი

## ჰქონდა ენდი: ვისთვის?

**დღეს უიმბლდონის ერთ-ერთნახევარფინალში ერთმანეთს სეხნიები — ამერიკელი ენდი როდიკი და მასპინძელთა შოტლანდიელი კერპი ენდი მარეი შეხვდებიან.**



შეგახსენებთ, რომ ბრიტანელთა უკანასკნელი ტრიუმფი საკუთარ კორტებზე 1972 წლითაა დათარიღებული, როცა ქალთა ტურნირი ვირჯინია უეიდმა მოიგო, ხოლო ვაჟთა თანრიგში ისინი შორეული 1930 (!) წლის შემდეგ აღარ აღზევებულან. ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია როგორი გულისფანცქალით ელიან კუნძულელები მიმდინარე ტურნირის კვანძის გახსნას.

დღემდე მეტოქეთა შორის გამართული შვიდი ბრძოლიდან 5 მარეის გამარჯვებით დასრულდა, მათ შორის ერთადერთი — ბალახისსაფარიან სარბიელზე.

დავძენთ, რომ განვლილ ეტაპზე ედინბურგის მკვიდრმა უპრობლემოდ გადალახა ერთ დროს (2002 წ.) მსოფლიოს მეორე ჩოგნის, უზერებელი ესპანელის ხუან კარლოს ფერეროს წინაღობა — 7:5, 6:3, 6:2, როდიკმა კი ხუთსეტიან ტრილერში ლეგენდარულ ავსტრალიელ ვეტერანს ლეიტონ ჰიუიტს სძლია.

რაც შეეხება როჯერ ფედერერისა და ტომი ჰაასის წყვილს, სპეციალისტები უპირატესობას შვეიცარიელ ჯადოქარს ანიჭებენ, რომელმაც განვლილი თერთმეტი ურთიერთდუელიდან ცხრაში მიაღწია წარმატებას, მათ შორის ზედიზედ — უკანასკნელ რვაში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ შესანიშნავ კონდიციებში მყოფმა გერმანელმა მეოთხედფინალში, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი ჩამოიცილა გზიდან — 7:5, 7:6, 6:3.



**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## რაში იხარჯება პრეზიდენტების ძალა

**ამას წინათ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ყოველდღე ცურავს ერთ კილომეტრზე.**

**ბუნებრივია, დაგვებადა კითხვა, ქვეყნის სხვა პირველი პირები სპორტის რომელ სახეობებს მისდევენ.**

რუსეთში ივანე მრისხანეს ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაში. პეტრე პირველი კი შაშს ანიჭებდა უპირატესობას, ნიკოლოზ II ჩოგბურთს თამაშობდა, ამავე დროს მისდევდა ტანვარჯიშს, ნიჩბოსნობას, ციგურებს.

მიხეილ გორბაჩოვი დიდებული მხედარია, ანუ ცხენოსნობის თაყვანისმცემელი, ბორის ელცინი ფრენბურთელი და ჩოგბურთელი იყო. ვლადიმერ პუტინი სპორტის ოსტატია ძიუდოში, არც სპორტულ თევზაობაზე ამბობს უარს. დიმიტრი მედვედევს კი სტაიერული ცურვის გარდა ბაიდრებიანი ნიჩბოსნობაც ჰყვარებია.

ჩვენთან მიხეილ სააკაშვილს უფრო ხშირად ტელევიზორში ველოსიპედით ვხედავთ, მაგრამ სპორტის სხვა სახეობებშიც წარმოჩინდება — თხილამურებიც უყვარს, ნაირნაირ სპორტულ კოსტიუმებში სირბილიც...



ზორში ველოსიპედით ვხედავთ, მაგრამ სპორტის სხვა სახეობებშიც წარმოჩინდება — თხილამურებიც უყვარს, ნაირნაირ სპორტულ კოსტიუმებში სირბილიც...

## რონალდუ განარისხეს

**ასე განრისხებული კრიშტიანუ რონალდუ ალბათ არც უნახავთ. მსოფლიოში ყველაზე ძვირი ფეხბურთელი, მადრიდის „რეალის“ ახალი შენაძენი, დედასთან ერთად ლისაბონში მანქანით დადიოდა. „როგორც წესი“, მათ პაპარაცები აედევნენ, რამაც ძალზე განარისხა ფეხბურთელი.**

— ფოტოგრაფი ავტომანქანით სასტუმროდანვე ამედევნა, — განუცხადა რონალდუმ ჟურნალისტებს, — ჩემთან ერთად მანქანაში დედაჩემი იყო, პაპარაცები კი ჩვენს ყოველ მოქმედებას იღებდნენ, დედა ძალიან შეშინდა. მე ნერვებმა მიღალატეს, გადმოვედი მანქანიდან და მოვითხოვე, რომ მდევარს ჩვენთვის თავი დაენებებინა.



როდესაც პაპარაცებმა უარი თქვეს დევნის შეწყვეტაზე, განრისხებულმა ფეხბურთელმა მანქანას ფეხი ჰკრა, მანქანას მინა ჩაემსხვრა და მსუბუქად დაიჭრა სხვებთან ერთად მანქანის სალონში მჯდომი 17 წლის ქალიშვილი, მან მაშინვე პოლიციას მიმართა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერჯერობით კომენტარები არ გაუკეთებიათ, — იტყობინება „რეიტერი“.

## პოდიუმიდან არ ჩამოდის

**ლიტვის ყოფილი ლამაზმანი ოქსანა სემენიშნა ერთხელ კიდევ აღიარეს მოკრივეთა WBC სერიის დედოფლად.**

**არა, ასე მომხიბლავ არსებას ნუ წარმოიდგენთ რინგზე მოკრივის ხელთათმანებით. ის ძირითადად მონაწილეობს გამარჯვებული მოკრივეების დაჯილდოებაში.**



მაგალითად, 2006 წლის დეკემბერში მან დააჯილდოვა ოლეგ მაკაევი, ახლახან კი, ბევრი თაყვანისმცემლის გასახარად, გადაიღეს ფოტოსესიაში ჟურნალისთვის FHM.

უნდა აღინიშნოს, რომ ოქსანას დამთავრებული აქვს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი. 2002 წელს კი ის იყო კონკურსის „მსოფლიო დედოფალი“ ფინალისტი.

◉ ხელშეწყობა დიდ-პატარას

# კარგია, როცა ბედს არ ურიგდები...



**ამ ცოტა ხნის წინათ, ხელისუფლებამ, ჯერ რუსთაველზე გააუქმა (გაყიდა) ცნობილი სამხატვრო სალონი, მალე კი „პლეხანოვზე" მდებარე ასეთივე სალონიც მას მიაყოლა. ამით, ბუნებრივია, გადაიკეტა ის მცირედი შემოსავლის წყარო, რითაც ჩვენი სახვითი ხელოვნების ოსტატები — ახალგაზრდები და ძველგაზრდები საზრდოობდნენ — ამ სალონებში გამოფენილ მათ ნამუშევრებს ხომ მუშტარი ჰყავდა (ხშირად უცხოელებიც).**

მხრები არ ჩამოჰყარა და ბედს არ შეურიგდა „პლეხანოვზე" მდებარე სალონის დირექტორი, შესანიშნავი პიროვნება, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მხატვართა კავშირ „ხელოვანის" თავმჯდომარე **ნოდარ რურუა,** მან იქვე, „პლეხანოვზე" გამართა სამხატვრო სალონი (ოღონდ, გაცილებით ვიწრო ფართით) და კეთილშობილურ საქმიანობას განაგრძობს — ამ სასტიკ დროში მხატვრებსაც უმართავს ხელს და, ცხადია, თვითონაც რჩება ერთი-ორი თეთრი.

მხატვართა კავშირ „ხელოვანს", უკვე კარგა ხანია, აქტიური ურთიერთობა აქვს საქართველოს სხვადასხვა საშუალო სკოლასთან, მხატვრის ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებთან.

რჩეულთა შორის რჩეულების ნამუშევრებს ბატონი ნოდარი და მისი თანამშრომლები სამხატვრო სალონში ჰფენდნენ და ბედნიერ წუთებს ჩუქნიდნენ ბავშვებს... ჰოდა, ნორჩები არც ახლა დავიწყნია ნოდარ რურუას. რამდენიმე დღის წინათ დედაქალაქის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები თავის სალონში რომ ვერ დაატია, ფიროსმანაშვილის ქუჩაზე მდებარე ფიროსმანის მუზეუმში მიიწვია და მართლაც ღირსსახსოვარი შეხვედრა გაუმართა — მუზეუმში მოაწყო მათი ნახატების გამოფენა და დაათვალიერებინა გენიალური მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები.

ეს დღე ბავშვებს იმითაც დაამახსოვრდებათ, რომ მოუსმინეს პოეტ თემურ ჩალაბაშვილს, ქართული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას მანუჩარ მაჩაიძეს, რომელიც, თურმე მხატვრობის ნიჭითაც ყოფილა მადლცხებული...

— არ შეიძლება დავივიწყოთ ფიროსმანის მუზეუმის დირექტორის ბატონ ანზორ მაძღარაშვილის, მხატვარ მურმან ჟანიშვილის, 23-ე საჯარო სკოლის ხატვის პედაგოგების მაია კაციტაძისა და იზა თავაძის გულმოდგინება, რათა ეს დღე მართლაც სასიამოვნო ყოფილიყო ბავშვებისთვის, — აღნიშნავს ბატონი ნოდარ რურუა და, თუ მშვიდობა იქნა, უკეთეს და უკეთეს ღონისძიებებს ჰპირდება პატარებს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ კულტურის ამბები

## კოტე მიქაძის სიმღერების საღამო

**კოტე მიქაძე თბილისელი კაცია, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი. დიდი პრეტენზიები არა აქვს, სიცოცხლისა და მუსიკისადმი უდიდესი სიყვარული ამღერებს. სიმღერების პირველი კრებული დისკი გამოსცა და დაარიგა საჩუქრად, გაყიდვა არც უფიქრია. საღამოზე მისი მეგობრები, ხელოვნების მუშაკები ჭარბობდნენ, მათ შორის მრავლად იყვნენ სამეჯლისო ცეკვების დიდოსტატების თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეების მოწაფეები, რომელთა შორის არის თავად კოტე მიქაძე. მისი თქმით, სწორედ მათ მიერ ორგანიზებულ კლუბ „თელაში" აქტიურმა მონაწილეობამ ერთგვარი სტიმული მისცა და განაწყო საკუთარი სიმღერების საღამოს მოსაწყობად, ამასთან:**

— ამ ნაბიჯის გადადგმა გამაბედინა რამდენიმე ახლობელმა ადამიანმა, ვისაც ქართული საესტრადო მუსიკაში სიტყვა ეთქმის და ვისი აზრიც ჩემთვის მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა წახალისებისა და თანადგომისთვის სოსო ებრალიძეს, კოტე გოგოლაძეს, ბადრი გვილავასა და მაია დათუნაშვილს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჯემალ ადამაშვილის უანგარო დახმარება, რომლის უშუალო რედაქტირებითა და მონაწილეობით შესრულდა სიმღერების მრავალხმიანი ფრაგმენტები. პროექტში მონაწილეობისთვის დიდი მადლობა ჩემს უსაყვარლეს ზაზა იაკაშვილს. მადლობა ყველა სიმღერის არანჟირების ავტორსა და ჩემს თანამოაზრეს — ნუკრი რუხაძეს, — თქვა ბატონმა კოტე მიქაძემ საკუთარი სიმღერების საღამოზე, სადაც მსმენელებმა ისიამოვნეს გიორგი ლეონიძის, მურმან ლებანიძის, მირზა გელოვანისა და ავთო შარვაძის ლექსებზე შექმნილი კოტე მიქაძის სიმღერებით, რომლებიც საკმაოდ მაღალ დონეზე სრულდებოდა ხშირად თავად ავტორის მიერ.

## „ჩემი ქვეყანა პატარა, კოხტა"...

**ამ გოგონას სახელს ჯერ კიდევ ბევრჯერ გაიგონებთ.**

**ანა უთურგაური „პიონერფილმის" წევრია, ჯერ კიდევ სულ პატარამ მთავარი როლი შეასრულა გახმაურებულ ფილმ „მებადურის და ოქროს თევზის ზღაპარში" და საზოგადოების ყურადღება მიიქცია.**

შემდეგ რამდენიმე პროფესიას წარმატებით დაეუფლა და ხშირად მოგზაურობს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მისი თვალით დანახული და დაფიქსირებული სამშობლოს სურათების გამოფენას „ჩემი ქვეყანა პატარა, კოხტა"... უწოდა „პიონერფილმის" ადმინისტრაციის ხელშეწყობით ამ დღეებში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში გამოფინა.

ხალხმრავლობა იყო პირველ დღეს, ბევრი დატკბა შესანიშნავი ფოტოებით, ავტორს რომ დიდი გემოვნებით შეურჩევია. საყოველთაო აღიარებით, ახალგაზრდა ხელოვნის ფოტოებს შორის არის ისეთიც, ნებისმიერი ცნობილი ფოტოხელოვნის გამოფენას რომ დაამშვენებს. ანა უთურგაური ბევრი სხვა სფეროს წარმომადგენელია ამავე დროს და კიდევ არაერთხელ გავიგონებთ მის შესახებ, არაერთხელ გაგვახარებს საკუთარი შემოქმედებით. წარმატებით ევლოს ხელოვნის ძნელი, მაგრამ საინტერესო გზით.

**ქეთევან ჩემია**

◉ ინფორმაცია

## აფხაზეთში ფართომასშტაბიანი წვრთნები იწყება

**აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ფართომასშტაბიან წვრთნებს იწყებს.**

**სწავლებაში მონაწილეობას რუსეთის 43-ე არმიის ჯარისკაცები და გენერალური შტაბის წარმომადგენლები მიიღებენ.**

აღსანიშნავია, რომ ოკუპანტებმა ის 5 ჯარისკაციც დააჯილდოვეს, რომლებმაც გასული წლის აგვისტოში ზემო აფხაზეთის ოკუპირებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს.

ვიდეომასალას აფხაზეთის ტელევიზია ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ წვრთნები ცხინვალის რეგიონშიც იწყება. ბატალიონის ტაქტიკური წვრთნები მე-4 რუსულ ბაზაზეა დაგეგმილი.

## ტრაგედია თბილისის ზღვაზე

**თბილისის ზღვაში 17 წლის ბიჭი დაიხრჩო.**

**თვითმხილველთა თქმით, არჩილ სულთანიშვილმა თბილისის ე.წ. პატარა ზღვაში მეგობართან ერთად შეცურა, თუმცა დინებამ წაიღო.**

მოზარდის მეგობარმა წყლიდან ამოსვლა მოახერხა, თავად სულთანიშვილის ამოყვანა კი სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა მხოლოდ 40 წუთის შემდეგ მოახერხეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ა უ ქ ც ი ო ნ ი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე 1 ლოტად.**

**I ლოტი: ქ. მცხეთის ტერიტორიაზე მდებარე, მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1000 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.07.04.459).**

**საწყისი გასაყიდი ფასია: 1 მ² — 41,5 ლარი**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის — 5% - ს აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს — 50 ლარს აუქციონის „ბე" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 %-ს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27, 899 22-65-33, 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

◉ გასწორება

2009 წლის 19 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ნომერში გამოქვეყნებულ სააუქციონო განცხადებაში დაშვებულია უზუსტობა, შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის" ქონების (გაკოტრების მასის ნარჩენის) გასაყიდად აუქციონი გაიმართება 2009 წლის 20 ივლისს ორშაბათ დღეს, იგივე დროსა და იგივე მისამართზე, ნაცვლად მითითებული 19 ივლისისა.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში"
**99-62-77; 899 32-85-76.**

**მეუღლე ნაზი იმნაიშვილი, შვილი ნიკოლოზ ყაჯრიშვილი, რძალი თამუნა სვიანაძე, შვილიშვილები ელენე, ლიზი ყაჯრიშვილები, და დალი ყაჯრიშვილი, მძახალი იზოლდა ხავთასი-სვიანაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით, მეგობრები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თამაზ ომარის ძე ყაჯრიშვილი**

**პანაშვიდი 3, 4 VII, 17 სთ. დაკრძალვა 5 VII, 15 სთ. მისამართი: პეკინის ქ. №3, I სადარბაზო, ბინა 4.**

◉ დაზუსტება

**ჩვენი გაზეთის 2009 წლის 1 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული იქნა განაცხადი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის მიერ პირობითი აუქციონის ჩატარების თაობაზე, სადაც გაიპარა შეცდომა, კერძოდ, მე-3 ლოტის განსაკუთრებულ პირობაში უნდა იკითხებოდეს შემდეგი შინაარსის წინადადება: აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია 5 წლის განმავლობაში ობიექტი დატვირთოს ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კუთხით.**

## ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ლიცენზირებული უნივერსიტეტი

**აცხადებს მიღებას 2009-2010 სასწავლო წლისათვის პირველ კურსზე და გადმოყვანის წესით ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის კერძო სექტორზე შემდეგ სპეციალობებზე:**

**ბაკალავრიატი:**
1. სამართალმცოდნეობა 2. ჟურნალისტიკა; 3. ფსიქოლოგია; 4. საფინანსო-ეკონომიკური (5 სპეციალობა); 5. ტურიზმი; 6. უცხო ენები; 7. კომპიუტერული პროგრამირება; 8. დაწყებითი განათლება.

**მაგისტრატურა:**
1. პედაგოგიკა; 2. ბიზნესი; 3. სამართალი; 4. უცხო ენები; 5. ტურიზმი; 6. ფსიქოლოგია.

უნივერსიტეტთან ფუნქციონირებს პროფესიული მომზადების კურსები სხვადასხვა სპეციალობით.

**საჭირო საბუთები:**
1. ატესტატი (დედანი);
2. დიპლომის ასლი (მაგისტრანტებისათვის);
3. პირადობის მოწმობა (ასლი);
4. დაბადების მოწმობა (ასლი);
5. 4 ცალი ფოტოსურათი (3/4);
6. მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის).

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოყვანილი სტუდენტი საბუთებთან ერთად წარმოადგენს სტუდენტის პირად ბარათს (ნიშნების ფურცელთან ერთად).

**უნივერსიტეტის რექტორი:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ამირან მექვაბიშვილი.**

**საბუთები მიიღება ყოველდღე 10-დან 17 საათამდე, ჩარიცხვა გასაუბრების წესით. ინფორმაციისთვის მობრძანდით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №47. ტელ: მობ: 899-18-89-24; 93-66-03; 36-28-34; 36-36-15; 99-07-24; 99-96-26; 98-86-82.**

## დაიჯესტი

### „მარგალიტის“ „კორვეტი“

**ამერიკელმა ჯოი ბატერფილდმა, ტეხასის შტატის ქალაქ ამარილოიოს მცხოვრებმა, უდროოდ დაღუპული მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად თავისი ავტომან-**



**ქანა, 1963 წლის გამოშვება „შევროლე-კორვეტი“... 160 ათასი მარგალიტით მორთო, რასაც ხუთი წლის მუშაობა მოანდომა.** საგულისხმოა, რომ „მარგალიტის „შევროლედ“ მონათლულ მანქანაში მისტერ ბატერფილდს იმთავითვე 3,5 მილიონი დოლარი შესთავაზეს, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საყვარელი მეუღლის ხსოვნა მას ფულზე არ გაუცვლია და წინადადებაზე უარი თქვა.

### შოკოლადის მდინარე

**მეტად უჩვეულო „საჩუქარი“ მიიღეს მოულოდნელად ამერიკის ქალაქ კანზას-სიტის ერთ-ერთი ქუჩის მობინადრეებმა. საქმე ის არის, რომ სატვირთო ავტომანქანის ცისტერნიდან ავარიის შედეგად 15**



**200 ლიტრი... თხევადი შოკოლადი გადმოიღვარა, რომელიც სიცივეში მალევე გაიყინა.** ქუჩის მცხოვრებლებმა არ დააყოვნეს და ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლეს, შოკოლადი სულ ნაჯახებით ჩეხეს და სამომავლოდ ნუგბარიც ბლომად მოიმარაგეს. მოგვიანებით შოკოლადის ნარჩენები ქუჩის სავალი ნაწილიდან თოვლის მწმენდავმა მანქანებმა აფხიკეს.

უცხოური პრესის მიხედვით

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასძ ქ. №19. ტელ: 99-62-77.

## ჯანმრთელობა

### თუ ძალიან გცხელათ



ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

**თანდათან დაცხა და წვიმებისა და სიცივისგან თავმობეზრებულნი, ახლა სიცხისგან საშველს ვეძებთ. აი, რას გვირჩევს ექიმი-თერაპევტი.**

სამუშაოდან დაბრუნებული, მაშინვე აბაზანაში ნუ შევარდებით და ცივ წყალს ნუ გადაივლებთ. ჯერ ერთი, ამით თავს გაცივების საფრთხეს უქმნით და მეორეც – იმისთვის რომ შვება იგრძნოთ, „აზრზე მოხვიდეთ“, სიცხეში გაცილებით უკეთესია ცხელი შხაპის მიღება. ცხელი წყლის ნაკადი აფართოვებს მსხვილ სისხლ-ძარღვებს და მცირე კაპილარებსაც, ჟანგბადი უკეთესად ხვდება შინაგან ორგანოებში და თავს გაცილებით მხნედ იგრძნობთ.

კონდიციონერების მფლობელთ თავი ბედნიერად მიაჩნიათ – რადგან, ნებისმიერ პაპანაქებას ვერ გრძნობენ – დააჭირეთ თითი პულტზე და მალე ოთახში სიგრილე დაისადგურებს. თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ სიგრილესთან ერთად ხშირად მოდის სურდო, ყელის ტკივილი და მაღალი ტემპერატურაც. რათა კონდიციონერმა არ გაგაციოთ, ხელსაწყო ავტომატურ რეჟიმზე ჩართეთ, ჰაერის ნაკადი გაიფანტება და თავს დააღწევთ ორპირ ქარს. არ გირჩევთ კონდიციონერის ძალზე დაბალ ტემპერატურაზე დაყენებას, ოთახისა და გარე ტემპერატურის განსხვავება არ უნდა იყოს 10 გრადუსზე მეტი, თორემ გაცივებას ვერ გადაურჩებით.

### როგორ მოვიწესრიგოთ ძილი

**ერთ-ერთი ჩვენი მკითხველი გვეკითხება – ადრე ყავას ვსვამდი და ვერ ვიძინებდი, ახლა ჩაიზე გადავედი და მაინც ვერ ვიძინებ, როგორ მოვიქცე?**

საქმე იმაშია, რომ კოფეინს შეიცავს არა მხოლოდ ყავა, არამედ ჩაიც – შავი იქნება, ის, თუ მწვანე. ამიტომ ძილის წინ აჯობებს ბალახების ნახარშის ან მინერალური წყლის დალევა. მათ, ვისაც უნდა, ღამე ღრმად ეძინოთ, უნდა დაივიწყონ საღამოთი კანფეტების ჭამაც, რადგან შოკოლადში კოფეინი ძალზე ბევრია. თუმცა ღამით დესერტზე სხვა მიზეზითაც უნდა თქვათ უარი: მაძღარი ვახშამი არ მოგცემთ კარგად გამოძინების საშუალებას. თქვენს ორგანიზმს მოუწევს დიდი ენერგიის დახარჯვა საჭმლის მონელებაზე, იმის ნაცვლად, რომ ის აღდგენით პროცესს მოახმაროს.



ძილის წინ, 5 საათით ადრე აღარ უნდა ჭამო რამე მძიმე საკვები. მხოლოდ მსუბუქი, ბოსტნეულის საუზმეული, დიეტური ხორცი და მისთანები.

### ხახვს მიეძალეთ!



**დიახ, ხახვი ჩემპიონია ბოსტნეულში თუთიის შემადგენლობით. ამ მიკროელემენტის დეფიციტს კი შეუძლია არა მხოლოდ თმების გაცვენა და ფრჩხილების მტვრევა, არამედ სხვა უფრო სერიოზული პრობლემების გამოწვევაც. ამჟამად დადგენილია თუთიის მონაწილეობა იმუნიტეტის ჩამოყალიბებაში.** ამიტომაც ადამიანები, ვისაც ეს მიკროელემენტი აკლია, ხშირად განიცდიან სხვადასხვა ინფექციური დაავადებების შემოტევას, ცივდებიან, იტანჯებიან ალერგიით, თუთიის ნაკლებობამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ქალის რეპროდუქტიულ სისტემაზე, მამაკაცებისთვის კი თუთია აუცილებელია მამაკაცური სასქესო ჰორმონის – ტესტოსტერონის გამოყოფისა და ნორმალური სქესობრივი ცხოვრებისთვის.

ხახვი სასარგებლოა გულით დაავადებული და დასუსტებული ადამიანებისთვის. ხახვში არის ნივთიერებანი, სისხლძარღვების კედლებს და გულის კუნთს რომ ამაგრებენ. ამას გარდა, მწვანე ხახვის ფოჩები მშვენიერი საშუალებაა იმუნიტეტის გასამაგრებლად. ის მდიდარია კალციუმითაც, რაც აუცილებელია კბილებისთვის.

მწვანე ხახვი ებრძვის თმების ცვენას.

იმათ კი, ვისაც ღვიძლი და თირკმლები, აგრეთვე კუჭ-ნაწლავი აწუხებთ, არ ვურჩევთ ხახვით გატაცებას.

### ახალგაზრდა ქალები მამაკაცებს სიცოცხლეს უხანგრძლივებენ



**ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მკვლევარები. თავისზე ახალგაზრდა ქალზე დაქორწინებული მამაკაცი ამით სიცოცხლეს იხანგრძლივებს.**

მკვლევარებმა გამოიკვლიეს, რომ მამაკაცებს უქვეითდებათ ნაადრევი სიკვდილის რისკი 5-ჯერ, თუ კი ისინი შეირთავენ თავიანთზე 15-17 წლით უმცროს ქალიშვილებს. თუ ცოლი ქმარზე 7-9 წლით ახალგაზრდაა, მაშინ ქმრის ნაადრევი სიკვდილის რისკი 11 პროცენტით მცირდება.

ქალებისთვის კი მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ გააჩნია, მისი მეუღლე უფროსია თუ უმცროსი, მთავარია თავად განსხვავება. თუ ქმარი ცოლზე უფროსია ან უმცროსი 7-9 წლით, მაშინ ქალს 20 პროცენტით მეტი რისკი აქვს ნაადრევი სიკვდილისა, ხოლო თუ განსხვავება ასაკში 15-17 წელია, მაშინ დღეგრძელობის ალბათობა ქალებს 30 პროცენტით უმცირდებათ.

უცხოური პრესის მიხედვით

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

ჩვენი მთავრობა ნათელი დასტურია იმ თეზისის უსაფუძვლობისა, რომლის მიხედვითაც ის, ვინც არაფერს აკეთებს, არც ცდება.

* * *

ქართული რადიო. მუსიკალური მილოცვა:

– ახლა კი ვულოცავთ მიხოსა და მაროს, რომლებიც



დღეს ცოლი და ქმარი გახდნენ! მარო – ნიკას ცოლი, მიხო – ვარდოს ქმარი.

* * *

ორი დაქალი საუბრობს:

– ეს ბეჭედი საიდან გაქვს?
– ბიჭმა მისახსოვრა.
– რომელმა ბიჭმა?
– არ მახსოვს...

* * *

გინდათ, რომ თქვენი იუბილე ნამდვილად დაგახსომდეთ? არ დალიოთ!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.